ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 ოქტომბერი 2004 №248 (2269) ფასი 50 თეთრი


# არსენალმაც წააგო!

## ვან ნისტელროის ცხოვრების პენალტი





REUTERS

მორჩა! როგორც იქნა, მორჩა! ლონდონის „არსენალმა“ 49-მატჩიანი წაუგებელი სერია მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ შეწყვიტა, უფრო სწორად კი, შეაწყვეტინეს და ორმოცდაათად არ უქციეს.

როგორც იქნა, მორჩაო, იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ „მეთოფეთა“ ჯინი გვჭირს, უბრალოდ, ყველაფერს აქვს დასასრული და ხალხს ნერვები დააწყდა „არსენალის“ საარაკო სერიის დასასრულის მოლოდინში და იმ გუნდის ვინაობის გამოცნობის მცდელობაში, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეძლებდა მის დამარცხებას.

ისე, თუ ვინმეს ერგებოდა „არსენალის“ დამარცხების პატივი, ისევ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უნდა ყოფილიყო — ერთადერთი გუნდი, რომელიც სჯობნის „არსენალს“ პრემიერლიგური ტიტულებით.

ხოლო თუ ვინმეს ერგებოდა „არსენალისთვის“ გოლების გატანა, ისევ რუუდ ვან ნისტელროის და უეინ რუნის. გახსოვთ, როგორ გააფუჭა ვან ნისტელროიმ ამათ წინა სეზონის შეხვედრაში პენალტი და როგორ წაუთაქეს თავში „მეთოფეებმა“? უეინ რუნის კი გუშინ 19 წელი შეუსრულდა.

ამ თამაშმა, გასაკვირ არ არის, რომ რამდენადმე გააფერმკრთალა უქმეების სხვა გამორჩეული თამაშები, მილანური მშვიდობიანი დერბი და მაიკლ ოუენის გოლით „რეალისგან“ „ვალენსიას“ ძლევა.



ლოკომოტივი 1:2 ზესტაფონი. ზესტაფონელთა თბილისელმა ზაზა ზირაქიშვილმა გაიტანა და გაიხარა

# ზესტაფონის თბილისობა

## პატარა ფეხბურთის დიდი ამბავი

გუშინ ევროპაში დიდი დერბების დღე კი იყო, მაგრამ პატარა ამბები არც საქართველოს ჩემპიონატში მოხდა — ტურის სამი თამაში და ამდენივე მოულოდნელი შედეგი.

ზესტაფონელებმა თბილისში საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს სამი ქულა აართვეს, ბოლნისში ბოლნისელებმა იყოჩაღეს და საამსეზონოდ მოლონიერებულ „ბათუმს“ მოუთავეს საქმე, ხოლო ქუთაისში „კოლხეთმა“ ანგარიშის გათანაბრება შეძლო და ფოთში ქულით დაბრუნდა.

დღეს კი ავლაბარშია ინტრიგული მატჩი და იქნებ მცხეთაშიც მოხდეს სასეირო ამბავი...

# გოლზე მეტი საგოლე



გუშინდელმა დუბლმა დავით სევასტოპულო (№20) ბომბარდირებში აპირველა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი პირველი 16 ლიგა 10 ტური

პირველი წრე

თბილისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ფკ ამერის სკოლა. 300 მაყურებელი

## ამერი 5:1 საგარეჯო

1:0 დავითაშვილი (3), 2:0 სევასტოპულო (22), 2:1 პირველი (36), 3:1 დავითაშვილი (54), 4:1 დეკანოსიძე (72), 5:1 სევასტოპულო (7…

ამერი: ნაჭყეპია, კუდელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, მჭედლიშვილი (ჩხეტიანი 46), კაიდარაშვილი (ნადირაძე 80), დეკანოსიძე, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 78), სევასტოპულო, ხვადაგიანი, სილაგავა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

საგარეჯო: თვალაბეიშვილი, პირველი, ლომიძე, მენთეშაშვილი, კირთაძე (კაიშაური 46), ინჯგია, კვალინაძე, შაიშმელაშვილი (აბულაძე 90), ბაკურაძე (ხოსრუაშვილი 68), ბერიაშვილი, უშარაული
მწვრთნელი: ზურაბ ნადარეიშვილი

მსაჯი: მალხაზ მაისურაძე (თბილისი)

კობა ინასარიძე

— ადრე თუ გვიან დავისჯებით, მომენტი გაქვს, გამოიყენე — გუშინ, „ამერი" — „საგარეჯოს" მატჩისას ლამის წუთში ერთხელ მასპინძელთა თავკაცობისგან ასეთი სიტყვები ისმოდა.

პირველ ლიგაში „საგარეჯო" აუტსაიდერებს შორისაა, „ამერი" უმაღლესის საგზურისთვის იბრძვის. აქედან გამომდინარე, გუშინდელი 5:1, რა თქმა უნდა, ლოგიკურია. თუმცა ანგარიში ანგარიშად, 5:1 სატურნირო ცხრილსა და სტატისტიკას შეემატება, მაგრამ ის მომენტები, რომელიც „ამერმა" ქარსა თუ თავის უყურადღებობას გაატანა, თბილისური კლუბის არქივს დიდ ხანს უნდა შერჩეს და გასარჩევი გახდეს.

...ბევრს არ ვიტყვით. „ამერმა" ოცამდე, ეგება მეტიც, რეალური საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ სულ ხუთი გამოიყენა.

პირველ ლიგაში, იშვიათად, ასეთი კარგი მატჩები: აშკარაა, რომ მასპინძელი სტუმარს სჯობს, ფიქრობ, რომ წუთი-წუთზე რაღაც მოხდება, გოლი უნდა გავიდეს, მაგრამ...

იშვიათია თამაში, როცა საწყისს სამ წუთში სტუმართა კართან ოთხი სახიფათო, უფრო სწორად, რეალური საგოლე მომენტი შეიქმნას. მსაჯის სასტვენი და გიორგი დეკანოსიძის გაცუდებული მომენტი ერთი იყო, მერე სულიკო დავითაშვილის დრიბლინგი დასრულდა უშედეგოდ, რასაც სევასტოპულოს დარტყმა და ხარიხა მოჰყვა.

...როგორც იქნა, თუმც რაღა, როგორც იქნა, მეხუთე მომენტი გოლად გარდაისახა — დავითაშვილი მარჯვედ გაუსწორდა კახელებს და ანგარიშიც გახსნა.

მოკლედ, საწყისი ხუთი წუთი „ამერი" მეტოქის ნახევარს არ მოშორებია. შტურმი დავითაშვილის გოლის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ გოლი გაჭიანურდა. მიზეზი: „საგარეჯო" ცოტა ხნით გააქტიურდა, უფრო სწორად, სტუმრები მასპინძლებმა გააქტიურეს. თუმც გოლი ისევ „საგარეჯოს" კარში ვიხილეთ, თბილისელებმა მეტოქის შეტევას სწრაფი იერიში მიაყოლეს და დავით სევასტოპულომ ანგარიში გააორა...

ამის მერე „ამერი" დამშვიდდა, მატჩი მოგებულად ჩათვალა და დაისაჯა კიდეც. ერთი, ორი და მესამე საგოლე შანსი უკვე „საგარეჯომ" გამოიყენა — გიორგი პირველის დარტყმული ბურთი რიკოშეტით რევაზ ნაჭყეპიას ზურგსუკან აღმოჩნდა.

ტაიმი 2:1 დამთავრდა. თამაში აშკარად „ამერისა" კი იყო, მაგრამ ისიც ჩანდა, „საგარეჯო" მასპინძელს შეცდომას არ აპატიებდა.

შესვენების შემდეგ მოედანზე უკვე ის ძალთა თანაფარდობა იყო, რაც ცხრილში ამ გუნდთა ადგილებს შეესაბამებოდა. მეორე ტაიმში თბილისელები მეტი რიხით და მეტი მონდომებით შეუდგნენ თამაშს, თუმცა ზედიზედ რამდენიმე რეალური მომენტის გაცუდების შემდეგ ერთი-ორი წუთით კვლავ მოდუნდნენ და „საგარეჯოც" გაათამაშეს. მაგრამ ნაჭყეპიას კართან შეტევებს ბევრი არაფერი მოჰყოლია, ხოლო როცა ამერელებმა მოინდომეს და ტემპს მოუმატეს, კახელებს სანერვიულო არ დააკლეს.

ისე, ძნელია, როცა ისეთ მეტოქეს ეთამაშები, რომელზეც, გრძნობ, ორი თავით მაღლა ხარ და მთელი ძალ-ღონე ამ მატჩს დაახარჯო. ძნელია, წუთში ერთხელ ნაღდ მომენტს რომ ქმნი, ვერ გაგაქვს, კონცენტრაცია გეკარგება, ამის შემდეგ მეტოქის შეტევა მოიგერიო.

მოკლედ, „ამერმა" „საგარეჯო" პირწმინდად დაჩაგრა, ხუთი გაუტანა, მაგრამ ოცდახუთი უნდა გაეტანა. ჰოდა, გამოუყენებელი ნაღდი მომენტების ნახვა იქნებ ვინმეს სურს და მათ ვეტყვით — „ამერის" მატჩებს დაესწრონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:10 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 20:6 | 22 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:7 | 19 |
| ამერი | 10 | 7 | 0 | 3 | 31:7 | 21 |
| დინამო 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 20:16 | 16 |
| კახეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:17 | 16 |
| მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:13 | 12 |
| ცხინვალი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:14 | 15 |
| ჩიხურა | 10 | 4 | 2 | 4 | 9:11 | 14 |
| ივერია | 9 | 2 | 4 | 3 | 7:12 | 10 |
| ოლიმპი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | 9 |
| გურია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| რუსთავი | 10 | 2 | 1 | 7 | 13:20 | 7 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 4:18 | 6 |
| საგარეჯო | 10 | 1 | 2 | 7 | 9:29 | 5 |
| მალაროელი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:16 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 9-სევასტოპულო | ამერი |
| 8-დავითაშვილი | ამერი |
| 7-მუმკუდიანი | ბორჯომი |
| 6-ბურდული | კახეთი |
| ტატანაშვილი | სპარტაკი |

**ოლიმპი 1:3 ვიტ ჯორჯია**

**ცხინვალი 2:1 რუსთავი**

**ივერია 0:2 ჩიხურა**

დღეს

**ბორჯომი — გურია**

**ლოკომოტივი 2 — მალაროელი**

**სპარტაკი — დინამო 2**

ხვალ

**კახეთი — მერანი**

# პეჩე დინამოს ვერ მოესწრო

თბილისის „დინამოს" საუეფასთასო მეტოქე ბერძნული „პანიონიოსი" უმწვრთნელოდაა. უეფას თავის პირველ ტურში ინგლისურ „ნიუკასლთან" 0:1 წაგების მერე კლუბის ხელმძღვანელობამ კაროლ პეჩეს გადაყენება გადაწყვიტა.

ჩეხ პეჩეს დიდი ხანია, ქომაგები აკრიტიკებდნენ და ამან „შედეგი" ახლაღა გამოიღო. ინგლისელებთან წაგებამდე „პანიონიოსმა" საბერძნეთის ჩემპიონატში ოფი-სთანაც წააიბორძიკა და მე-13 ადგილზე დაეშვა.

შეგახსენებთ, რომ პეჩემ „პანიონიოსი" ზაფხულში ჩაიბარა, თუმც გულშემატკივრებს თავი ვერა და ვერ შეაყვარა. 58 წლის ჩეხის შემცვლელის ვინაობას ბერძნები დღეს დაასახელებენ.

ბაჩა შალამბერიძე



კაროლ პეჩე

გიო ახვლედიანის

სვეტი



# „დინამოს" ამბავზე

ეს „სოშოს" ამბავი ხომ ვნახეთ...

აბა, ყველა გულშემატკივარმა თავის თავს ჰკითხოს, რას ელოდა ამ მატჩისგან? (იმ სულელ ბიჭებს არ ვგულისხმობ, რომლებიც თავისიანს და სხვისიანს ერთნაირად აგინებენ ტრიბუნებიდან და ამით საკუთარ უძლურებას ადასტურებენ).

ჩვენ ვიცოდით, რომ ჯგუფში თუნდაც ერთი ნაბიჯის წინ წადგმა ძალიან ძნელი იქნება.

სულელი არავინ არ არის, რომ წარმოიდგინოს, „დინამო თბილისს" სასწაულების მოხდენა შეუძლიაო.

„დინამოს" და მის გულშემატკივრებს იმისთვის გვჭირდება ეს ჯგუფი, რომ ნამდვილ ევროპულ საქმეში ვიყოთ ზამთრამდე და ვისწავლოთ და ვისწავლოთ მძიმე ბრძოლებში.

„დინამო" არ უყურებს ამ ჯგუფს, როგორც ამხანაგური თამაშების წყებას. ის ამ საქმეს როგორც ბრძოლას ისე უყურებს. ამ ბრძოლაში ის თავს დებს, მაგრამ ისეთი ვერ არის, რომ ეს ევროპული გუნდები დაჯაბნოს: ვერც გამოცდილებით, ვერც ოსტატობით...

ეს საიდუმლო არ არის, მაგრამ ამ ჭრილში საყვარელი გუნდის ქომაგობა ძალიან ძნელია.

სანამ ანგარიში 0:0-ია, გულშემატკივარს არ ახსოვს მთელი ნამდვილი სურათი თავისი საყვარელი გუნდისა და მგონია, რომ ის აუცილებლად გაიმარჯვებს. ეს ასეც უნდა იყოს და ასეც არის, მაგრამ როცა შენი გუნდი გოლს უშვებს, ერთბაშად არ უნდა გაგახსენოს, რა უვარგისები ვართ ჩვენ ყველანი და რომ შუქიც კი არა გვაქვს წესიერად. გუნდის და ქომაგის ერთობა (როცა პირველი გოლი გავუშვით, მხოლოდ ყმაწვილი ფანების ორი ჯგუფი ამხნევებდა გუნდს) გაშვებულ გოლზე არ უნდა ჩამოვკიდოთ.

ჭკუის სწავლებისგან ღმერთმა დამიფაროს. ეგ საქმე სხვისი მეზარება, უბრალოდ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ „დინამო" წინ მიდის. თუნდაც მძიმედ, ათმაგი ოფლის ღვრით, მაგრამ მაინც წინ და უკან აღარასოდეს მოიხედავს. სიმართლე რომ ითქვას, ჩემი პირადი მთავარი იმედი ამ თამაშებში სწორედ ესაა. იქნებ ისიც მოხდეს, რომ ახალი წლიდან „დინამოს" ახალი ფეხბურთელებიც გაუჩნდეს, რიგი პოზიციები გაამაგროს, მეტი გამოცდილებითა და დახვეწილობით შეეგებოს ახალ ბრძოლებს. ეს მომავალში...

იმ დღეს კი სტადიონზე, როცა სხვაობა ორი ბურთი შეიქნა, ანუ „სოშომ" კუთხურიდან გაგვიტანა, ერთმა კაი კაცმა თქვა: ნიუკასლში კუთხურების წარმოდგენა მზარავსო, კლუივერტი და შირერიო...

ოფლისღვრა და ბრძოლაც ეს არის, წარმოდგენა არ უნდა გვზარავდეს.

მე მგონია, რომ იმის პირობაზე, რაც ქართული საკლუბო ფეხბურთია, დღეს „დინამომ" უკვე აჯობა ათას რამეს.

# მოფერიანებული ფერო ლითონს ვაკეშიც ადუღებს

## მახარაძემ საქმე მენტალური მეტალით დაიწყო



საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 — 12 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

**ლოკომოტივი 1:2 ზესტაფონი**

0:1 ზირაქიშვილი (8), 0:2 გვარუციძე (62), 1:2 რ. ონიანი (69)

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, რ. ონიანი, ბაქრაძე, გ. ონიანი, ქებაძე (სანიკიძე 85), გოგობერიშვილი, სიჭინავა, ბურდული (ლაცაბიძე 46), ლ. ჩხაიძე (გ. შენგელია 90), ბობოხიძე, სირბილაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; სოსელია, გ. ახალაია, მედოევი
**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**ზესტაფონი:** მერკვილიშვილი, პარამონოვი, სიდამონიძე, ძამსაშვილი, რაქვიაშვილი, კვერნაძე (გვარუციძე 38), ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, თურმანიძე, ზირაქიშვილი (ჩილვინაძე 76), შაგგულიძე (ნუდნი 46)
სათადარიგონი: ცინაძე; დ. ჯანაშია, სულაკაძე, ჯაფარიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ბობოხიძე (15), რ. ონიანი (44), ზირაქიშვილი (52)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**დავით თავართქილაძე**

თბილისის „ლოკომოტივი" პირველი ტურის მერე არ დამარცხებულა და ათმატჩიანი წაუგებელი სერია გუშინ შეწყვიტა „ზესტაფონთან", რომელსაც თემურ მახარაძე წვრთნის — წინა ტურში ზესტაფონელებმა ქუთაისიდან ქულა წაიღეს, ახლა კი ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს სტუმრად მოუგეს.

„ლოკომოტივი" მინდორზე გავიდა და მიხვრა-მოხვრით თქვა, დღეს რაღაც იშტაზე ვერ ვარო. ლოკომოტიველებს ნიათი აკლდათ, ცოტა არ იყოს, მოფამფალებულად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. რამდენიმე დღის წინ კი „ზესტაფონის" ერთ-ერთი ფეხბურთელი ნიძლავს მთავაზობდა, ისეთ ჯანზე ვართ, „ლოკომოტივთან" ნაღდად არ წავაგებთო. სანაძლეო არ შემდგარა და არა მხოლოდ ჟურნალისტური ეთიკის გამო — „ზესტაფონის" ვაკეში გამარჯვებას მალიან დიდი კითხვის ნიშანი ეწერა.

ისე, „ზესტაფონი" შეძლებული კლუბია და ზამთრის შესვენებისას გაძლიერებასაც აპირებს. ამ მხრივ არც „ლოკომოტივს" აქვს პრობლემა, თანაც დღესდღეობით ზაურ სვანაძეს უფრო სახელიანი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს.

...თემურ რაქვიაშვილმა და რევაზ კვერნაძემ მარჯვენა ფლანგზე მოხდენილი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ რაქვიაშვილის ჩაწოდებულს ბექა ნოზაძემ თავი ვერ დაჰკრა, არადა, „ლოკომოტივის" კართან უმეთვალყურეოდ კი იდგა. „ზესტაფონმა" მალე მეორედაც შეუტია მეტოქეს მარჯვენა ფლანგიდან და გოლსაც გამორჩა — კვერნაძემ სლალომურ რეიდს კარის გასწვრივ ჩაწოდება მიაყოლა და ყველას ზაზა ზირაქიშვილმა დაასწრო.

„ლოკომოტივის" შემტევ ძალას მეტწილად გოგობერიშვილ-სიჭინავა-ჩხაიძის შუახაზური სამკუთხედი და ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე განაპირობებენ. გამოჩნდა, რომ „ზესტაფონს" ამ ოთხეულის გაუვნებლობაზე კარგად უმუშავია. რაც შეეხება ლადო ბურდულს, ის ზაურ სვანაძემ პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა და პრესკონფერენციაზე თქვა, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ბურდულმა ისე ვერ ითამაშა, როგორც სასურველი იყო.

მიუხედავად უფერული თამაშისა, „ლოკომოტივს" პირველ ტაიმში ორი არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა — ბობოხიძემ რთული მდგომარეობიდან ვერ გაისწორა მიზანი, სირბილაძემ კი ახლო თავური ააცილა „ზესტაფონის" კარს.

და მეორე ტაიმი, რომელშიც „ლოკომოტივის" შტურმი იყო მოსალოდნელი, თუმც შტურმისმაგვარი მასპინძლებმა სტუმრებს ტაიმის ბოლოს მოუწყვეს, მანამდე კი „ზესტაფონმა" კონტრშეტევაზე გამოიჭირა მეტოქე და ლაშა გვარუციძემ გვარამაძეს ახლოდან გაუტანა — 0:2.

თამაშში საკმაოდ კარგად ჩაერთო სერგეი ნუდნი, რიგიანად ითამაშა მიხეილ ბესარაშვილმა, გიორგი თურმანიძის და თემურ რაქვიაშვილის გარჯაც უნდა აღინიშნოს, ზურაბ ძამსაშვილმა კი თითქმის ყველა ძალისმიერი ორთაბრძოლა მოიგო — ასეთნაირად შედუღებულ ნახევარდაცვას „ლოკომოტივის" შუა ხაზმა ვერაფერი დააკლო — ზესტაფონელთა სპონსორიც „ფეროა" და გუშინდელი შენადნობი მართლაც მაღალი ხარისხის იყო.

...ლოკომოტიველთაგან შუა მოედანში ბობოხიძემ იყოჩაღა, ჩინებულად გაუჭრა პასი როინ ონიანს, რომელიც რაჟდენ მერკვილიშვილს შეატოვა და ონიანმაც დაგვირგვინება უნაკლოდ შეასრულა.

„ლოკომოტივს" კიდევ ოცი წუთი ჰქონდა დარჩენილი თამაშის გადასარჩენად, არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმაც ბლომად დაამატა დროს, მაგრამ „ზესტაფონი" დაცვაში კარგად იჯდა, ხოლო მასპინძლებმა სახიფათო მომენტის შექმნაც ველარ შეძლეს, თუმც შტურმისმაგვარი მართლაც მოუწყვეს სტუმრებს.

*ზაურ სვანაძე:* კარგა ხანია, არ წაგვიგია და ალბათ უნდა დამდგარიყო მარცხის დროც. როცა კარში ერთხელ დაარტყამ, მოგება ძნელია. ტერიტორიული უპირატესობა კი გვქონდა, მაგრამ ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც „ლოკომოტივს" შეეფერებოდა. ძალიან დაგვაკლდა დისკვალიფიცირებული მიხეილ მახვილაძე და დაცვაშიც უხეში შეცდომები დავუშვით. „ზესტაფონი" კი ახლა სულ სხვა გუნდია, ვიდრე სეზონის დასაწყისში იყო. ეს გუნდი კიდევ ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

*თემურ მახარაძე:* მადლობა ბიჭებს, რომ ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ და ასეთ სოლიდურ გუნდს ტოლსწორად ეთამაშნენ. როცა გუნდი ჩავიბარე, ფეხბურთელებში გულგატეხილობა იყო, რწმენა დაკარგული ჰქონდათ და მუშაობა პირველ რიგში სწორედ ამ მიმართულებით დავიწყე.



„ზესტაფონის" გუშინდელი საგა ზაზა ზირაქიშვილის გოლით დაიწყო



თემურ მახარაძეს შეცვლამაც გაუმართლა:
ლაშა გვარუციძემ დაცვაშიც კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა

# სიონმა გაოგნებულმა მოიგო



დავით გოგოლაძის (მარცხნივ) გოლმა სამი ქულა ბოლნისში დატოვა

**კახა შალამბერიძე** ბოლნისიდან

— ვულოცავ „სიონს" დამსახურებულ მოგებას. სათქმელი არაფერი მაქვს, პირწმინდად წავაგეთ. ამბიციურმა და სერიოზულ მიზნებზე მოფიქრალმა გუნდმა ასე არ უნდა ითამაშოს — გვითხრა ნამატჩევს „ბათუმის" თავკაცმა ნუკრი გოგიტიძემ.

მართლაც, „სიონმა" ყველაფერში დაჩაგრა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი. მომენტები გინდათ, ბრძოლა გინდათ, თავდადება გინდათ — ბოლნისელებმა სტუმრებს არაფერი დაუთმეს.

გოლი 30-ე წუთზე გავიდა, როცა პაატა ჩოხელმა უნაკლოდ ატარა ბურთი, მეტოქის საჯარიმოშიც შევიდა და დავით გოგოლაძეს გადააწოდა, რომელმაც მცველთან ჭიდილში იძალა და — 1:0.

„სიონმა" გაიხარა, მაგრამ მომენტები სახიფათო თუ იყო, მანამდე იყო. ჯერ იმავ გოგოლაძეს აულო სოსო გრიშიკაშვილმა ურთულესი დარტყმა, მერე კი ბათუმელმა ლევან ხომერიკმა ათიოდ მეტრიდან ვერ შეძლო კარში ზუსტად დარტყმა.

„სიონი" მეტოქეს ჯობდაო, ვთქვით და ამას იმით გავამყარებთ, რომ ხომერიკის ზემოთ ნახსენები მომენტის გარდა ბათუმელებს გატანის შანსი თითქმის არ ჰქონიათ.

შაბათის „სარბიელში" ვწერდით, „ბათუმს" 19-წლამდელთა ნაკრებში გაშვებული გიორგი ჭელიძე არ ეყოლებაო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ შაბათს სლოვაკეთიდან თბილისში ჩამოსულ ჭელიძეს ზღვისპირელებმა მყის ძირითად შემადგენლობაში უკრეს თავი. „პაჭელო" ბათუმელებისთვის დიდი ძალა რომ არის, ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ გადაღლილ-გადაქანცული თავდამსხმელის თამაში რამდენად მიზანშეწონილი იყო, გუშინაც გამოჩნდა. თუმც ბათუმელთა თავკაც ნუკრი გოგიტიძეს ამაზე საკუთარი აზრი აქვს: „ყოველი თამაშის წინ ვეკითხები ფეხბურთელებს, შეუძლიათ თუ არა თამაში და გუნდისთვის სარგებლის მოტანა. გიორგიმ მითხრა, რომ მზად არის, ასე რომ"...

მოკლედ, ამ თემაზე აღარ შევჩერდებით და „სიონს" დავუბრუნდეთ. მეორე ტაიმში „ბათუმმა" შეტევა კი სცადა, მაგრამ ბოლნისელები სწრაფი ფლანგური შეტევებით ისე იჩხვლიტებოდნენ, დიდი შანსი იყო, თამაში იქვე დაემთავრებინათ. მამუკა რუსიას, გოგოლაძეს, ჩოხელს ბლომად მომენტები შემოეფლანგათ. ორჯერ დიმიტრი ვერემჩუკის ყუმბარისებურ დარტყმებს შეეძლო სტუმრების გატეხვა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა.

ნამატჩევს „სიონის" თავკაცი გიორგი ყიფშიძე კმაყოფილი იყო: „ბიჭებს მადლობას ვუხდი. ყველა დავალება შეასრულეს და ბოლომდე იბრძოლეს. ასე თუ გავაგრძელებთ, სახიფათო ზონასაც ავცდებით. სხვათა შორის, „ბათუმი" ასე სუსტად თუ ითამაშებდა, ვერ წარმოვიდგენდი. სტუმრებისგან გაცილებით მეტს ველოდი, მაგრამ გაოგნებული დავრჩი".

ბოლნისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 300 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:0 ბათუმი

1:0 გოგოლაძე (30)

**სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, ლამბაშიძე, ზაზაშვილი, ოქროპირიძე, ფეიქრიშვილი, პ. ჩოხელი (ნ. ლაბაძე 90), ვერემჩუკი, გ. დოლიძე, გოგოლაძე (დ. არჩვაძე 78), რუსია (ჩაგელიშვილი 86)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; გ. კილასონია, მიქავა, გ. ჩალაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**ბათუმი:** გრიშიკაშვილი, ბეგლარ თედორაძე, ი. მახარაძე, გალოგრე, ექონია, ხუჯაძე, ქაცარავა (ფირცხალაიშვილი 50), მანჩხავა (ი. შენგელია 58), დარჩიძე (ღლონტი 58), გ. ნოდ. ჭელიძე, ხომერიკი
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ბესიკ თედორაძე, ჩიკვილაძე, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ნუკრი გოგიტიძე

**გაფრთხილება:** დოლიძე (66), ფირცხალაიშვილი (70), ზაზაშვილი (73), ვერემჩუკი (70), დოლიძე (90)

**გაძევება** დოლიძე (90)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 27:9 | 26 |
| ტორპედო | 12 | 6 | 5 | 1 | 17:6 | 23 |
| ბათუმი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:8 | 21 |
| თბილისი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:13 | 20 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:6 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 2 | 4 | 21:17 | 17 |
| სიონი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:28 | 10 |
| ზესტაფონი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:28 | 10 |
| კოლხეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:21 | 8 |
| დილა | 11 | 2 | 1 | 8 | 8:20 | 7 |

# გასა-ჭირმა თავი არ დამალა

ქუთაისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 1:1 კოლხეთი

1:0 კოშკაძე (12), 1:1 თაყაძე (56)

**ტორპედო:** სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, მემარნიშვილი, ს. თოდუა, რევაზიშვილი, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, გ. დარსაძე (მუმლაძე 76), კოშკაძე
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ლ. მერებაშვილი, დათუნაშვილი, ადუაშვილი, ლაღაძე, ჯანჯალია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ჭითანავა, ქუტიძე (ლონლაძე 72), ქობულაძე, გ. კილასონია, აკობია, გ. თოდუა, თაყაძე (კუნჭულია 78), მარგალიტაძე, ძოძუაშვილი, ზ. ქუთათელაძე (ნარსია 88)
*სათადარიგონი:* გ. შენგელია; ვართაგავა, ხურცილავა, ჭედია
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**გაფრთხილება:** კილასონია (22), მარგალიტაძე (27), ძოძუაშვილი (34), მემარნიშვილი (37), გ. თოდუა (58), რევაზიშვილი (79)

**გაძევება:** გ. თოდუა (90)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მატჩის ფავორიტად „ტორპედო" უნდა მიჩნეულიყო, მაგრამ დისკვალიფიცირებული მეგრელაძის არყოფნაში მასპინძლებს სამი ქულის აღება, ცხადია, გაუჭირდებოდათ, თანაც „კოლხეთი" სერგო გაბელაიას დანიშვნის შემდეგ უკეთ ათამაშდა და რიონისპირული დერბი, შეიძლება ითქვას, ლოგიკური შედეგით დასრულდა. ისევე როგორც თასის თამაშში, ოთარ გაბელიამ თავდასხმაში კოშკაძე-დარსაძის დუეტი დააყენა. მათი დახმარება ცენტრიდან ბოლქვაძე-ბაბუნაშვილის წყვილს დაევალა. ასეთმა ტაქტიკამ შედეგი მალე გამოიღო, მე-12 წუთზე კოშკაძემ ბოლქვაძეს კედელი გაუთამაშა, კარს მიუახლოვდა და აუღებელი დაურტყა ქვაჩახიას — 1:0. ხუთიოდ წუთში დარსაძემ კოშკაძე დატოვა მეკარესთან პირისპირ და ამჯერად კარის დარაჯმა იმარჯვა. თავის მხრივ დარსაძესაც შეეძლო გატანა, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. კოლხები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, წინ მათი ორი ფორვარდი — ძოძუაშვილი და ქუთათელაძე აქტიურობდნენ. ძოძუაშვილმა, ისევე როგორც თოდუამ, ორჯერ სახიფათო თავური დაურტყა სტურუას, თუმც ორივეჯერ მეკარემ იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ სტუმართა პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა. მარგალიტაძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი და უმეთვალყუროდ დარჩენილმა თაყაძემ თავით დაბალ კუთხეში გაიტანა. ამის შემდეგ „ტორპედო" უტევდა, „კოლხეთი" თავს იცავდა. ბოლქვაძემ და კოშკაძემ ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს. ბოლო წუთზე გამეზარდაშვილმა თავით დარტყმული ბურთი ხარიხას გაარტყა. ამის მერე კი პირისპირ გასულ ქუთათელაძეს სტურუამ აჯობა.

*გია ტყებუჩავა, „კოლხეთის" მეორე მწვრთნელი:* შედეგით კმაყოფილები ვართ. ქუთაისში ქულის აღება ყოველთვის ძნელია.

*ოთარ გაბელია:* წაგებაც შეგვეძლო და მოგებაც. აშკარაა, უკვე გაგვიჭირდა, მოუმზადებლობამ თავი იჩინა. მსაჯობა ნორმალური იყო, საპრეტენზიო არაფერი მაქვს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 — 12 ტური — ანონსი

ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გუშინდელი მოულოდნელი შედეგები ერთია და დღეს ტურის მთავარი მატჩია — მძაფრი სიუჟეტი უნდა გაგრძელდეს და ეს პირველ რიგში ისანში უნდა მოხდეს, სადაც „თბილისი" „დინამოს" მასპინძლობს.

გუშინ სწორედ ამ მატჩზე ვესაუბრეთ „თბილისის" მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს.

თბილისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი.

## თბილისი — დინამო

**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

# ეს ჩემთვის ბოლო თამაშია

## იაშვილს პრობლემა ყველა მწვრთნელთან აქვს

— პირველ წრეში „დინამოსთან" 1:4 დამარცხდით — რა შეიცვალა მას შემდეგ „თბილისში", ძალთა რა მარაგით ხვდებით ახლა „დინამოს"?

— სამწუხაროდ, ცვლილებები ცუდისკენაა — ბოლო ორ მატჩში ერთი და იგივე შემადგენლობას ვერ მოვუყარეთ თავი — ხან ტრავმები, ხან დისკვალიფიკაცია. დღეს კი ვარჯიშზე რევაზ ქემოკლიძემ მიიღო ტრავმა და „დინამოსთან" ვერ ითამაშებს. გლანდების ოპერაციის შემდეგ სრულად ჯერაც ვერ აღიდგინა ფორმა გიორგი ჭელიძემ — 90 წუთის სათამაშოდ ის ამ დროისთვის მზად არ არის. მაგრამ „დინამოც" არ უნდა იყოს უპრობლემოდ — „სოშოსთან" მძიმე თამაშის შემდეგ ძალების აღდგენა ადვილი არაა. „სოშოსთან" კარგად გამოჩნდა „დინამოს" ძლიერი მხარეებიც და ხარვეზებიც.

— და რისი იმედი გაქვთ „დინამოსთან" მატჩში?

— ამას ახლა კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩვენ გვაქვს რესურსი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში წარმატებულად თამაში შეგვიძლია.

— „თბილისის" ერთ-ერთი რესურსი ექსდინამოელი სანდრო იაშვილის თავით თამაშია?

— იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, რის საშუალებასაც იაშვილის მომზადების დონე გვაძლევს — ინტელექტს, სწორ მოძრაობას, დავალების ზუსტად შესრულებას ვგულისხმობ. ამ მხრივ იაშვილის დღევანდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა. თუ იაშვილმა ეს არ გამოასწორა, ყველა მწვრთნელთან ექნება პრობლემა.

— კონკრეტულად რაშია საქმე?

— იაშვილს პრობლემა აქვს ყველა მწვრთნელთან. მას უნდა, მარტომ ითამაშოს, მთელმა გუნდმა მასზე ითამაშოს და რასაც მისგან ითხოვენ, იმას არ აკეთებს. მე პირველი მართლაც არ ვარ — არც გია გეგუჩაძეა ის მწვრთნელი, რომ ამ ფეხბურთელის მონაცემები ვერ დაენახა. რაც იაშვილს უარყოფითი აქვს, ეს თვითონ უნდა გამოასწოროს.

— თქვენთვის, როგორც მწვრთნელისთვის, რა ფასი აქვს „დინამოსთან" ამ მატჩს?

— ის ფასი აქვს, რომ „დინამოსთვის" ჯერაც არ მოგვიგია — თებერვალში კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში მივდივარ სასწავლებლად და ამ სეზონში ეს ჩემთვის ბოლო თამაშია „დინამოსთან" — რა თქმა უნდა, მოგების სურვილი მაქვს.

**დავით თავართქილაძე**



მცხეთა. 25 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი.

## ვიტ ჯორჯია — დილა

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

## გერმანია

### ბუნდესლიგა. IX ტური

**შალკე 2:1 მაინცი**

1:0 ლინკოლნი (25), 1:1 ნ. ვაილანდი (60), 2:1 აილტონი (69)
შალკე: ფ. როსტი, გ. ვარელა, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდევი, კ. პოულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი (ჰამიტ ალტინტოპი 82), ასამოა (უდე კამპუსი 77), სანდი, აილტონი (ჰანკე 89)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ნ. ვაილანდი, აზაუაგი, ბაბაცი (კრამნი 79), და სილვა (დ. ვაილანდი 66), კეისი (იოვანოვიჩი 79), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ასამოა, კობიაშვილი, სანდი, კეისი, აზაუაგი, დ. ვაილანდი
მსაჯი: გაგელმანი
61 524 მაყურებელი

**ფრაიბურგი 2:0 შტუტგარტი**

1:0 იაშვილი (35), 2:0 კულიბალი (90)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ბ. დიარა, მოჰამადი, კრუპკე (შ. მიულერი 87), ვილი, ს. რიტერი, კაირო, კულიბალი, სანუ (ტანკო 46), იაშვილი (დორნი 78)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, შტრანცლი, ბაბელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში (ტიფერტი 61), ჰელდტი, ა. გლები, კურანი, კაკაუ
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ჰინკელი
გაძევება: შტრანცლი (69)
მსაჯი: მერკი
25 000 მაყურებელი

**ჰანზა 0:2 ბაიერნი**

0:1 სანიოლი (82), 0:2 შოლი (85)
ჰანზა: შობერი, მიორლე, ლაპაჩინსკი (ბირანი 84), კ. მადსენი, დ. რასმუსენი, პერსონი (მეგლე 84), ლანცი, თ. რასმუსენი, დი სალვო, არვიდსონი (რიდლევიჩი 84), პრიკა
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ბაიერნი: კანი, კუფური, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, სალიჰამიჯიჩი, სანიოლი, შვაინშტაიგერი (დემიკელისი 84), ჰარგრივსი (შოლი 55), ფრინგსი, მაკაი, ჰაშემიანი (რ. გერერო 55)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: დი სალვო, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი
გაძევება: დ. რასმუსენი (37), კუფური (75)
მსაჯი: ვაგნერი
29 500 მაყურებელი

**ვერდერი 4:1 ნიურნბერგი**

1:0 კლასნიჩი (13), 2:0 მიკუ (18), 2:1 მინტალი (64პ), 3:1 შულცი (75), 4:1 ერნსტი (88)
ვერდერი: რაინკე, სტალტერი (უმითი 81), ისმაელი, ფ. ბაუმანი, შულცი, ფ. ერნსტი, ბანეცკი (დ. იენსენი 70), მანინი, მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 76), კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
ნიურნბერგი: შეფერი, ვაგეფელდი (ლეანდრო სილვა 81), კანტალუპი, პაულუსი, ლ. მიულერი, ს. მიულერი, ლარსენი, ვიტეკი (ბანოვიჩი 82), მინტალი, დაუნი (სლოვაკი 46), შროტი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ისმაელი, შროტი
მსაჯი: კინჰოფერი
38 800 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:2 ჰამბურგი**

0:1 მპენზა (9), 0:2 იაროლიმი (70)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო (კრინგე 72), მადუნი, ვიორნსი, დედე, ოლისე, კელი, როსიცკი, ევერტონი, ოდონკორი (რიკენი 63), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

# ჰამბურგმა დოლის დაკრულზე იცეკვა


REUTERS ჰამბურგიდან

თომას დოლს წარმატებული დებიუტი გამოუვიდა

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ვან ბუიტენი, ბულარუზი, კლინგბილი, ვიკი (ბრეჩკო 87), იაროლიმი, ბაინლიხი (რანი 75), ბარბარესი, ე. მპენზა, ტაკაჰარა (ბენჟამინი 61)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: მპენზა, ვან ბუიტენი, იაროლიმი, ვიკი, რანი
მსაჯი: კირხერი
78 000 მაყურებელი

**ლაუტერნი 0:0 ლევერკუზენი**

ლაუტერნი: ვიზე, ჰერჩი, ლემბი, ვენცელი, ნურმელა, რიდლი, ენგელარდტი, დრეშერი, ზანდი (ტებერი 67), იანკერი, ამანატიდისი (ჰალილ ალტინტოპი 67)
მწვრთნელი: კურტ იარა
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, ბ. შნაიდერი, პლასენტე (ბაბიჩი 46), ჯონსი (იოზტურკი 77), პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ვორონინი 63)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ვენცელი, ენგელარდტი
მსაჯი: ფროილიხი
34 843 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:0 ბოხუმი**

1:0 ტიამი (27), 2:0 კლიმოვიჩი (40), 3:0 დალესანდრო (42)
ვოლფსბურგი: იენჩი, კ. რიტერი (ფრანცი 83), კიროგა, შნოორი, ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, დალესანდრო (შარპეი 80), ბრდარიჩი, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 78), მ. პეტროვი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი კოლდინგი, კალა, მატიპი (მისიმოვიჩი 46), პ. ბიონიგი, ცდებელი, მალტრიცი, ვოში, პროისი (ბეკმანი 46), ლოკვენცი (ტროიანი 46), პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: შნოორი, პეტროვი, კალა
მსაჯი: კესლერი
20 187 მაყურებელი

**არმინია 1:0 ჰერტა**

1:0 ბაკლი (40)
არმინია: ჰაინი, ლენსე (ჰოლსინგი 66), ლანგკამპი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი, ოვომოიელა, შკელა (ბოაკიე 79), ბაკლი, ფ. ვატა (ფინკი 85)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი (ნოინდორფი 81), შიმუნიჩი, ფატი (კ. მიულერი 64), ტ. მარქსი (ვიშნიარეკი 46), ნ. კოვაჩი, ბაშთურქი, მარსელინიო, ჟილბერტო, ბობიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: კაუფი, კოვაჩი
მსაჯი: ვაკი
21 141 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:2 ჰანოვერი**

0:1 მერტესაკერი (16), 0:2 ჩერუნდოლო (35)
მიონხენგლადბახი: კამპა, ფუკალი (პლატე 46), პლეტჩი, შტრასერი, ვან კერკჰოვენი (კარნელი 46), ულიხი, გაედე, კლუგე, ბროიხი, სვერკოში, ჰაინცი (ვან ჰუტი 69)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო (შტეფული 57), მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი (თ. შნაიდერი 89), შრიოტერი, თ. კრისტიანსენი (შტენდელი 67), ლეანდრო
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: სვერკოში, კრუპნიკოვიჩი, ტარნატი
მსაჯი: შტარკი
43 506 მაყურებელი

ჯერ „შალკესგან", ხოლო მერე „როტვაისგან" ძლეულმა „ბაიერნმა" თავდაჯერებულობის რაღაც დოზა როსტოკში, „ჰანზას" დამარცხებით აღიდგინა. მიუნხენელებს ამ მატჩში ნადეჟრესიალ სებასტიან დაისლერის გარდა კიდევ რამდენიმე ახლადდაშავებული მოთამაშეც არ ჰყავდათ და ეგებ სწორედ ამიტომაც იყო, მატჩის მიწურულამდე რომ გაწვალდნენ. არადა, 37-ე წუთიდან, ანუ დავიდ რასმუსენის გაძევებიდან 75-ე წუთამდე, ანუ სამუელ კუფურის გაძევებამდე „ბაიერნი" კაცმეტი თამაშობდა. გოლები კი სწორედ მას მერე გავიდა, როცა მსაჯმა კუფურს წითელი ბარათი აუფრიალა. მატჩის ძირითადი დროის ამოწურვამდე რვა წუთით ადრე მეჰმეთ შოლის ნაჯარიმევს ყველაზე ზუსტად ჯილი სანიოლი მოერგო, ხოლო სამ წუთში როსტოკელთა კარი უკვე თავად შოლმა დალაშქრა. ეს „ჰანზას" უკვე ზედიზედ მეხუთე საშინაო მარცხი იყო.

ნოყიერად იმარჯვა წინა ტურში „ჰანოვერისგან" 0:3 ნაგვემმა „ვოლფსბურგმა", რომელმაც ასეთივე ანგარიშით მოუგო „ბოხუმს". სამივე გოლი ვოლფსბურგელებმა პირველი ნახევრის 15-წუთიან მონაკვეთში შეაგდეს — ჯერ 27-ზე პაბლო ტიამმა უთავაზა ზუსტად მარტინ პეტროვის მიერ ჯარიმიდან ჩაკიდულს, მერე მეორმოცეზე დიეგო კლიმოვიჩმა ტომას ბრდარიჩის ჩინებული პასი დაავოლიანა, ორ წუთში კი ანდრეს დალესანდრო სამ მცველს გასცდა და მეკარესთან ჯიქურ მიჭრილმა ანგარიში სამამდე გაზარდა.

„პირველი ნახევარი მართლაც საუცხოოდ ვითამაშეთ — იძახდა მერე „ვოლფსბურგის" მწვრთნელი ერიკ გერეტსი — ეს ის ფეხბურთი იყო, რისი ნახვაც ჩვენს ფანებს ყოველ შეხვედრაში უნდათ. ცუდად არც მეორე ტაიმი დაგვიწყია, თუმცა ტემპი მალევე დავაგდეთ. ეს კი სამწუხაროა, რადგანაც ჩვენი ქომაგები უფრო მეტსაც იმსახურებდნენ."

სხვათა შორის, ასევე მსჯელობდა ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელი პეტერ ნოირურერიც. მისი თქმით, ბოხუმლები მადლობლები უნდა იყვნენ, „ვოლფსბურგმა" ისინი ბოლომდე რომ არ მიასიკვდილა. შეგახსენებთ, რომ ნოირურერის გუნდს უკვე ექვსი შეხვედრაა, არ მოუგია.

სხვაფერად — [illegible] და „ჰამბურგის" ახალი თავკაცის, თომას დოლის [illegible] შეგულიანებულმა გუნდმა წლეულს საოცრად შეჭირვებულ „დორტმუნდს" ემილ მპენზასა და დავიდ იაროლიმის გოლებით აჯობა. ნამატჩევს მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა კრისტიან ვიორნსმა მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი გააკრიტიკა — სადავეები საერთოდ დაკარგაო, ვან მარვიიკი კი ვიორნს მპენზასთვის გოლის გატანაში ხელის ვერშეშლისთვის უკიჟინებდა. ამათ ორივეს და ყველა დანარჩენ დორტმუნდელს კი ბითუმად ლანძღავდა გახელებული ადგილობრივი მილეთი, რომელმაც გამარჯვება ვერც საყვარელი გუნდის მიერ ამ სეზონში გამართულ მეხუთე საშინაო მატჩში იხილა.

საჩემპიონთალიგო შეხლაში „ანდერლეხტის" სტუმრად ძლევის შემდეგ მშობლიურ სანახებს ყინჩად მოუბრუნდა შარშანდელი ჩემპიონი „ვერდერი" — ბრემენელთა ოთხი გოლის სანაცვლოდ „ნიურნბერგმა" მხოლოდ მარეკ მინტალის ერთი პენალტის შეგდება შეძლო. „ლევერკუზენმა" კი „რომასთან" 3:1 საშინაო გამარჯვების შემდეგ „კაიზერსლაუტერნთან" სტუმრად ვეღარ იშუშპრავა და უგოლო ფრეს დასჯერდა. „კაიზერის" მწვრთნელ კურტ იარას, ვისაც გუნდის მაჩანჩალობის გამო წყალი აქვს შემდგარი, „ლევერკუზენთან" ნაშოვნი ქულის გამო თავკაცობისგანაც და ქომაგობისგანაც თბილი სიტყვები ერგო.

**ლევან ქელაურაძე**



REUTERS ბრემენიდან

ვერდერი — ნიურნბერგი. სტუმართა რბევა ივან კლასნიჩმა (მარჯვნივ) დაიწყო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვოლფსბურგი | 9 | 7 | 0 | 2 | 16:9 | 7 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 9 |
| 2 შტუტგარტი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 10 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 3 ბაიერნი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 17 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 10 |
| 4 ვერდერი | 9 | 5 | 0 | 4 | 20:11 | 9 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 10:6 | 4 | 6 |
| 5 მაინცი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:12 | 2 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 6 შალკე | 9 | 5 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:8 | 2 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 3 |
| 7 ჰანოვერი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 8 არმინია | 9 | 4 | 2 | 3 | 8:7 | 1 | 14 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 9 |
| 9 ლევერკუზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 0 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | -7 | 2 |
| 10 ჰერტა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 5 |
| 11 ნიურნბერგი | 9 | 2 | 4 | 3 | 16:16 | 0 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 2 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 11:13 | -2 | 5 |
| 12 ფრაიბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:12 | -3 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 13 გლადბახი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 14 ჰამბურგი | 9 | 3 | 0 | 6 | 10:17 | -7 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 3 |
| 15 დორტმუნდი | 9 | 1 | 5 | 3 | 12:16 | -4 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 16 ჰანზა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:14 | -10 | 0 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 8 |
| 17 ბოხუმი | 9 | 1 | 4 | 4 | 12:19 | -7 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:10 | -3 | 5 |
| 18 ლაუტერნი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | -7 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | -3 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 8 |
| კლოზე (ვერდერი) | 6 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 6 |
| მინტალი (ნიურნბერგი) | 6 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 5 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 5 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 5 |
| ბაკლი (არმინია) | 5 |

### X ტური

27 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| მაინცი | : | ჰანზა |
| ბაიერნი | : | ვოლფსბურგი |
| ბოხუმი | : | გლადბახი |
| ჰანოვერი | : | ლაუტერნი |
| ლევერკუზენი | : | არმინია |
| ჰერტა | : | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | : | ფრაიბურგი |
| შტუტგარტი | : | ვერდერი |
| ნიურნბერგი | : | შალკე |

### II ბუნდესლიგა. IX ტური

**ალენი 1:0 ბურგჰაუზენი**

1:0 სვიტლიცა (66პ)

**ფიურტი 2:1 აინტრახტი**

0:1 ლენცე (36), 1:1 როსლერი (37), 2:1 რ. ჰიბერტი (68)

**მიუნხენი 1:1 კარლსრუე**

0:1 მენერი (33), 1:1 შაო (64)

**ესენი 2:2 კიოლნი**

1:0 რამაზანი (27), 2:0 ბილგინი (65პ), 2:1, 2:2 პოდოლსკი (88, 90)

**უნტერჰახინგი 2:1 კოტბუსი**

0:1 ლიოვი (42), 1:1 ვაკარო (62), 2:1 კ. შტრასერი (85)

**ალემანია 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0 პლაშენრიხი (32), 2:0 მიხალკე (42), 3:0 მეიერი (73), 3:1 ბენჩიკი (79)

**ტრირი 2:0 ერფურტი**

1:0 პეკოვიჩი (63), 2:0 რაკანელი (78)

**აუე 1:3 დუისბურგი**

0:1 აჰანფუფი (49), 0:2 ვოსი (70), 0:3 ვან ჰუდტი (76), 1:3 შუბითიძე (90)

**ობერჰაუზენი 2:0 დინამო**

1:0 რიტპიჩი (34), 2:0 ბაჩიუ (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 9 | 7 | 1 | 1 | 11:3 | 22 |
| ალემანია | 9 | 5 | 3 | 1 | 23:8 | 18 |
| დუისბურგი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:9 | 18 |
| კიოლნი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:14 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | 14 |
| უნტერჰახინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:14 | 13 |
| მიუნხენი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:12 | 13 |
| ტრირი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:11 | 13 |
| აუე | 9 | 3 | 2 | 4 | 15:13 | 11 |
| ალენი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:7 | 11 |
| ზაარბრიუკენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| აინტრახტი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:18 | 11 |
| კოტბუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| კარლსრუე | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| ობერჰაუზენი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| ესენი | 9 | 1 | 4 | 4 | 15:22 | 7 |
| დინამო | 9 | 2 | 1 | 6 | 12:19 | 7 |
| ერფურტი | 9 | 1 | 4 | 4 | 4:13 | 7 |

### ჩრდ. რეგიონალლიგა. XIV ტური

ლიუბეკი — პადერბორნი 1:1; დიუსელდორფი — არმინია (მ) 3:1; ჰერტა (მ) — ვუპერტალი 4:1; იურდინგენი — კილი 1:0; ბრაუნშვაიგი — ოსნაბრიუკი 1:1; მიუნსტერი — ჰამბურგი (მ) 1:4; ქემნიცი — უნიონი 1:0; ვოლფსბურგი (მ) — კიოლნი (მ) 1:6; ვერდერი (მ) — ზანქტ პაული 2:2

### სამხ. რეგიონალლიგა. XII ტური

ჰოფენჰაიმი — მაინცი (მ) 1:0; ზიგენი — რეგენსბურგი 1:1; ვეჰენი — კობლენცი 2:1; აუგსბურგი — მიუნხენი (მ) 1:2; აალენი — ოფენბახი 1:2; შტუტგარტი (მ) — კიკერსი 3:2; ბაიერნი (მ) — ელვერსბერგი 3:0; პფულენდორფი — ფოიხტი 2:1; დარმშტადტი — ჰოფინგენი 0:0

# ნიკოლსონის ხსოვნისა იყოს




REUTERS ლონდონიდან

## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**ჩელსი 4:0 ბლექბერნი**

1:0, 2:0, 3:0 გუდიონსენი (37, 38, 51პ), 4:0 დაფი (74)
ჩელსი: პ. ჩეხი, გ. ჯონსონი, ტერი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, სმერტინი (ტიაგუ 69), პარკერი, ლამპარდი, ჯ. კოული (რობენი 63), დ. დაფი, გუდიონსენი (კეჟმანი 72)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, დ. მატეო, გრეი (ნ. იოჰანსონი 84), რიდი, ბ. ფერგიუსონი, ფლიტკროფტი, ემერტონი, ჯორკაეფი (სტიდი 53), დიკოვი (ბოტროიდი 53)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: პარკერი, ფლიტკროფტი, ნაილი
მსაჯი: პოლი
41 546 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ჩარლტონი**

1:0 რიისე (52), 2:0 ლუის გარსია (74)
ლივერპული: კირკლანდი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე (უორნოკი 86), ლუის გარსია, ხაბი ალონსო, ჰამანი, რიისე (კიუელი 64), ჯ. სისე, ბაროში (სინამა-პონგოლე 77)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩარლტონი: კაილი, იანგი, პერი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, რომედალი (ჯეფერსი 63), გ. სტიუარტი, ჰოლანდი, მერფი, ლისბი (ბ. ჰიუზი 78), ბარტლეტი (იუელი 71)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ჯეფერსი
მსაჯი: დურსო
41 625 მაყურებელი

**ნორვიჩი 2:3 ევერტონი**

0:1 კილბეინი (10), 0:2 ბენტი (40), 1:2 მაკკენზი (48), 2:2 ფრენსისი (57), 2:3 ფერგიუსონი (73)
ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, ჩარლტონი, დრური, ჰელვეგი (მათიას სვენსონი 46), ჰოლტი, ფრენსისი, იონსონი (დოჰერტი 83), ჰაკერბი, მაკკენზი (ბენტლი 83)
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ევერტონი: მარტინი, ტ. ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, პისტონე, ოსმანი (ს. უოტსონი 61), გრაველსენი, კარსლი, ჩეჰილი (დ. ფერგიუსონი 60), კილბეინი, მ. ბენტი (იობო 79)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: კარსლი, ვეირი
მსაჯი: კლატენბურგი
23 871 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 ფულემი**

1:0 სოლანო (29), 2:0 ჰენდრი (75)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დილანი, ჯ. სამუელი, სოლანო, გ. მაკკანი, ჰენდრი (ჰიცლშპერგერი 87), უიტინგემი (სტივენ დევისი 78), პ. ანხელი, ვასელი (კ. კოული 62)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, პირსი (რემანი 10), ბოკანეგრა, ბოა მორტე, პ.ბ. დიოპი, კ. იენსენი (კ. ჯონი 69), პემბრიჯი, მალბრანკი, ენდი კოული (მაკბრაიდი 88)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ვოლცი
მსაჯი: დოუდი
34 460 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:2 ბოლტონი**

0:1 ჯაიდი (11), 1:1 კინი (41), 1:2 პედერსენი (75)
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო, ნაიბეტი, კინგი, ე. გარდნერი, საიმონ დევისი (ციგლერი 80), პ. მენდეში, რედნაპი, ჯეკსონი (დეფო 70), რობი კინი, კანუტი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ჯაიდი, ნგოტი, რ. გარდნერი, დიუფი (იერო 81), სპიდი, ოკოჩა, ნოლანი (ჰ. პედერსენი 72), იანაკოპულოსი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მსაჯი: ფოი
36 025 მაყურებელი

**კრისტალ პალასი 3:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ჰალი (5), 2:0, 3:0 ენდრიუ ჯონსონი (12პ, 50)
კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, პოპოვიჩი, გრენვილი, რიიჰილაჰტი, რუტლეჯი, ბ. უოტსონი (სორონდო 83), მ. ჰიუზი (ლაკისი 69), კოლკა (ფრიდმანი 80), ენდრიუ ჯონსონი
მწვრთნელი: იან დოუვი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, გაარდსო, ალბრეხტსენი (გრინინგი 24), ბ. ჰაასი, ენდი ჯონსონი, შიმეკა, გერა, პ. რობინსონი, კანუ, ერნშოუ
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ენდრიუ ჯონსონი, ალბრეხტსენი, მური, რობინსონი
მსაჯი: მესიასი
22 922 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 პორტსმუთი**

0:1 კამარა (5), 1:1 დოუნინგი (74)
მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი, რიგოტი, საუთგეიტი, ბოატენგი (კუპერი 90), ს. დოუნინგი, პარლოუ, მენდიეტა (ნემეტი 38), ზენდენი, ჰასელბაინკი, ვიდუკა
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
პორტსმუთი: ჰისლოპი, გრიფინი, დ. კამარა (ა. სისე 80), პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი (მეთიუ ტეილორი 46), ბერგერი, ფეიე, ქვოში, ლუა ლუა (ფულერი 69), აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კამარა, ფულერი
მსაჯი: ატკინსონი
30 964 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ბირმინგემი**

საუთჰემპტონი: ნიემი, იაკობსონი, კენტონი, ლუნდეკვამი, ვან დამი, დელაპი, ფ. ფერნანდესი (პრატონი 89), ნ. მაკკანი, ნილსონი (ორმეროდი 64), ა. სვენსონი, ბლეკსტოკი
მწვრთნელი: სტივ უიგლი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კანინგემი, მელხიოტი, აპსონი, ანდერტონი, დ. დანი (კლეპამი 81), ჯ. გრეი, დემიენ ჯონსონი, სევიჯი, ჰესკი, იორკი (გრონკიაერი 64)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ანდერტონი
მსაჯი: დინი
27 568 მაყურებელი

**ნიუკასლი 4:3 მანჩესტერ სიტი**

1:0 რობერი (49), 2:0 შირერი (58პ), 2:1 რაიტ-ფილიპსი (64), 2:2 ფაულერი (67პ), 3:2 ელიოტი (69), 3:3 რაიტ-ფილიპსი (77), 4:3 ბელამი (89)
ნიუკასლი: გივენი, კარი (ა. ჰიუზი (59), რ. ელიოტი, ე. ობრაიენი, ბერნარი, ბოიერი, ბათი, ჯენასი, რობერი (მილნერი 71), შირერი, ბელამი (ამეობი 90)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, რ. დანი, ტეტჩერი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, სიბიერსკი, მაკმანამანი, ანელკა (ფაულერი 46), მაკენი (ფლუდი 58)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ბერნარი, ბოსველტი, ბათი, მაკმანამანი, მილსი
მსაჯი: დანი
52 316 მაყურებელი

შაბათს მდუმარე დღე იყო „უაით ჰართ ლეინზე" — კლუბი გლოვობდა თავისი ლეგენდარული მენეჯერის, ბილ ნიკოლსონის გარდაცვალებას. ნიკოლსონი 60-იანი წლების დიდი „ტოტენჰემის" მოძღვარი, მასთან ერთად ყველა შინაური ტიტულის მომგები კაცი იყო. მისი „ტოტენჰემი" იყო პირველი ბრიტანული გუნდი, ევროთასი რომ მოიპოვა.

წვიმიან ამინდში „ტოტენჰემმა" კვლავ წააგო — ზედიზედ მესამედ, ამჯერად „ბოლტონთან". ამიტომ კარგად დაწყებული სეზონი სულ უკანუკან მიუდის. 85 წლის ნიკოლსონის გარდაცვალებით გამოწვეული წუხილი ტრიბუნებს ცხადლივ ეტყობოდა და გუნდის პირქუშ და მძიმე თამაშს სამგლოვიარო იერს აძლევდა. „ბოლტონიმა" თავისი გააკეთა და ბოლოს ფერნანდო იეროც კი გამოიყვანა მოედანზე.

ორი საათით მეორე ადგილი ეპყრა ყველას გამაოცებელ „ევერტონს", მაგრამ მერე „ჩელსიმ" 4:0 მოუგო „ბლექბერნს" და კვლავაც „არსენალის" მთავარ მადევრად დარჩა, ჟოზე მაურინიუმ კი კრიტიკოსებს გადაჰკრა: ესეც თქვენ, „ჩელსის" ცოტა გოლი გააქვსო. ამ თამაშში სასიხარულო ერთ კაი მოთამაშესაც ჰქონდა: ეიდურ გუდიონსენს კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი გამოუვიდა.

გუშინწინ კი გმირად სხვა კაციც იყო: „ევერტონი" თავიდან 2 ბურთით იგებდა ნორვიჩში, მერე კი მარაგი ქარს გაატანა. მერე მოედანზე შევიდა უბერებელი და მეტიც, მარადი როგორც ფეხბურთი დანკან ფერგიუსონი, რომელსაც მკერდზე სვირინგად „ევერტონის" ორკოშკა ღერბი აქვს და აწერია, მარად შენთან. წლებია, ნაციხარ სქოთს ფეხით ბურთი არ გაუტანია, ამ სეზონში კი გოლების ანგარიში ჯერ ვერ გაეხსნა. ის კვლავაც რჩება მსოფლიოში საუკეთესო მოთავურედ და ამ ხვადმა თავმა კვლავ ივარგა — ლივერპულელ „შაქარლამებს" მოაგებინა.

„ევერტონის" მხარდამხარ იგებს „ლივერპულიც", რომლისთვისაც ყველაზე მეტი სირცხვილი ისაა, რომ ცხრილში თანაქალაქელებზე დაბლა იყოს. „ლივერპულმა" რონ არნე რიისეს ცაცია დარტყმითა და ლუის გარსიას დინამიური გოლით „ჩარლტონს" მოუგო, ბოლო 5 მატჩიდან 4 მოგება მოუგროვდა. თუმცა ცხრილში მაინც „ევერტონზე" დაბლაა.

ძველი ინგლისური ტრილერი გათამაშდა ნიუკასლში, იქაურებსა და „მანჩესტერ სიტის" შორის. ორივე გუნდი ოსტატია ამგვარი თამაშებისა და საერთოდ, ამგვარი თამაშების აღწერა შეუძლებელია. ეს კი ვთქვათ, რომ [illegible] მატჩში [illegible]ლენი იყვნენ მანჩესტერელი შონ რაიტ-ფილიპსი და ნიუკასლელი კრეიგ ბელამი, რომელმაც ძირსდაუშვებლად დაარტყა ბურთს შეხვედრის 84-ე წუთზე და ეს გამოდგა თამაშის რიგით მეშვიდე, „ნიუკასლისთვის" კი გამარჯვების გოლი.

ბოლოსკენ თავმდაბლურად შევნიშნოთ, რომ თავისი მეორე პრემიერლიგური მატჩი მოიგო — „კრისტალ პალასმა".

**ირაკლი გამყრელიძე**



ლივერპული — ჩარლტონი. იონ არნე რიისე ჰაერშიც ვარგოდა

REUTERS ლივერპულიდან

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 10 | 8 | 1 | 1 | 29:10 | 19 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 |
| 2 ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 12:2 | 10 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:1 | 3 | 10 |
| 3 ევერტონი | 10 | 7 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 22 | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 9 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 13 |
| 4 ბოლტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:12 | 4 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 7 |
| 5 მანჩესტერი | 10 | 4 | 5 | 1 | 11:7 | 4 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 6 ლივერპული | 9 | 5 | 1 | 3 | 16:8 | 8 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 |
| 7 ნიუკასლი | 10 | 4 | 4 | 2 | 21:17 | 4 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 5 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 9:10 | -1 | 6 |
| 8 მიდლსბრო | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 4 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 7 |
| 9 ასტონ ვილა | 10 | 3 | 5 | 2 | 13:12 | 1 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:9 | -5 | 3 |
| 10 ტოტენჰემი | 10 | 3 | 4 | 3 | 6:6 | 0 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 8 |
| 11 პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 1 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 12 ჩარლტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:17 | -8 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | -13 | 1 |
| 13 სიტი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:11 | 1 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 14 ბირმინგემი | 10 | 1 | 6 | 3 | 7:9 | -2 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 15 კრ. პალასი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:15 | -4 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 2 |
| 16 ვესტ ბრომვიჩი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:16 | -8 | 8 | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 1 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | -9 | 1 |
| 17 ფულემი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 2 |
| 18 საუთჰემპტონი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:12 | -6 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:6 | -5 | 1 |
| 19 ნორვიჩი | 10 | 0 | 6 | 4 | 9:17 | -8 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 3 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 20 ბლექბერნი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:22 | -15 | 6 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:8 | -3 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:14 | -12 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 8 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 7 |
| რეიესი (არსენალი) | 6 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 6 |
| პირესი (არსენალი) | 6 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 6 |

### XI ტური

30-31 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | კრ. პალასი |
| არსენალი | : | საუთჰემპტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩელსი |
| ჩარლტონი | : | მიდლსბრო |
| ევერტონი | : | ასტონ ვილა |
| ფულემი | : | ტოტენჰემი |
| პორტსმუთი | : | მანჩესტერი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| ბოლტონი | : | ნიუკასლი |
| სიტი | : | ნორვიჩი |

### ჩემპიონატი. XV ტური

**ბრაიტონი 1:0 ლიდსი**

1:0 კარლაილი (52ს.კ.)

**ლესტერი 1:1 სტოკი**

1:0 ჰალსი (21ს.კ.), 1:1 ასაბა (37)

**მილუოლი 2:2 კარდიფი**

0:1 ონილი (40), 1:1 ტესემი (47), 1:2 ლი (68), 2:2 ჰარისი (74)

**პრესტონი 3:2 ნოტინგემი**

1:0 მაკკენა (11), 2:0 ლუკეტი (36), 3:0 ეტუჰუ (57), 3:1, 3:2 კინგი (78, 80)

**რედინგი 4:0 ქრიუ**

1:0 სიდუელი (21), 2:0 კიტსონი (25), 3:0 ოვუსუ (45), 4:0 ინგიმარსონი (47)

**შეფილდ იუნ. 2:1 პლიმუთი**

1:0 ბრომბი (78), 2:0 გრეი (85), 2:1 ფრიო (87)

**უოტფორდი 2:2 იფსვიჩი**

0:1 ვესტლაიკი (50), 0:2 დ. ბენტი (63), 1:2 ჰელგუსონი (67), 2:2 გუაცა (73)

**ვესტ ჰემი 3:1 ჯილინგემი**

1:0 ზამორა (18), 2:0 ჰერვუდი (25), 3:0 მულინსი (39), 3:1 ბიფილდი (45)

**უიგანი 4:1 ქოვენთრი**

1:0 მაჰონი (15), 1:1 ჯონსონი (32), 2:1 გრემი (53), 3:1 ელინგტონი (63), 4:1 ფლინი (90)

**ვულვერჰემპტონი 2:1 ქუინზ პარკი**

1:0, 2:0 კორტი (22, 70), 2:1 გალენი (90)

**ბარნლი 0:2 დერბი ქაუნთი**

0:1 ტუდგეი (57), 0:2 რაიხი (63)

**როტერჰემი — სანდერლენდი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 15 | 9 | 6 | 0 | 32:11 | 33 |
| რედინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 21:10 | 30 |
| იფსვიჩი | 15 | 7 | 6 | 2 | 28:20 | 27 |
| ვესტ ჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:14 | 27 |
| ქუინზ პარკი | 15 | 8 | 2 | 5 | 23:20 | 26 |
| შეფილდი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:16 | 23 |
| სანდერლენდი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:12 | 22 |
| პრესტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:19 | 21 |
| მილუოლი | 13 | 6 | 3 | 4 | 13:12 | 21 |
| სტოკი | 15 | 5 | 6 | 4 | 13:14 | 21 |
| უოტფორდი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:14 | 20 |
| პლიმუთი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:21 | 20 |
| ლესტერი | 15 | 4 | 7 | 4 | 17:16 | 19 |
| დერბი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:20 | 19 |
| ბრაიტონი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:19 | 19 |
| ბარნლი | 15 | 3 | 9 | 3 | 13:12 | 18 |
| ლიდსი | 14 | 4 | 6 | 4 | 11:10 | 18 |
| ვულვზი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:18 | 17 |
| ქოვენთრი | 15 | 3 | 6 | 6 | 19:25 | 15 |
| ქრიუ | 14 | 4 | 3 | 7 | 23:31 | 15 |
| კარდიფი | 15 | 3 | 5 | 7 | 14:21 | 14 |
| ნოტინგემი | 15 | 2 | 7 | 6 | 14:21 | 13 |
| ჯილინგემი | 15 | 3 | 1 | 11 | 14:30 | 10 |
| როტერჰემი | 14 | 0 | 5 | 9 | 5:19 | 5 |

### პირველი ლიგა. XV ტური

ბარნსლი — სუინდონი 2:2; ბრედფორდი — შეფილდ უენსდი 3:1; ბრენტფორდი — ბლეკპული 0:3; ჩესტერფილდი — დონკასტერი 0:0; კოლჩესტერი — ტრანმერი 1:2; ჰადერსფილდი — დონსი 3:1; ჰალი — ლუტონი 3:0; ოლდემი — ბორნმუთი 1:2; პიტერბრო — ჰარტლპული 3:0; პორტ ვეილი — სტოკპორტი 0:0; უოლსოლი — ბრისტოლი 1:2. ტორკი — რექსემი გადაიდო

### მეორე ლიგა. XV ტური

როვერსი — კიდერმინსტერი 2:0; ბერი — რაშდენი 1:1; ჩელტენემი — კემბრიჯი 2:1; ჩესტერი — გრიმსბი 2:1; ლინკოლნი — ლეიტონი 3:4; მაკლსფილდი — ოქსფორდი 1:0; ნორთჰემპტონი — როჩდეილი 5:1; ნოტსი — ბოსტონი 2:1; სკანთორპი — იოვილი 1:0; შრიუსბერი — საუთენდი 1:1; უიკომბი — მენსფილდი 1:1. სუონსი — დარლინგტონი გადაიდო

### კონფერენსლიგა. XV ტური

ბარნეტი — იორკი 4:0; ქონვი — ლეი 3:0; კარლაილი — ჰერეფორდი 3:1; ექსეტერი — ალდერშოტი 3:1; ფარნბორო — დაგენემი 2:1; ფორესტ გრინი — ნორსვიჩი 1:3; ჰალიფაქსი — გრეივსენდი 1:0; მორეკემბი — სტივენეჯი 1:3; სკარბორო — აკრინგტონი 4:0; ტემუორთი — ქროული 1:0; უოქინგი — ბარტონი 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანჩესტერი 2:0 არსენალი

„ოლდ ტრეფორდი“. 67 862 მაყურებელი. მსაჯი: მაიკლ რაილი

1:0 ვან ნისტელროი (73პ), 2:0 რუნი (90)

კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო (ა. სმიტი 85), ფ. ნევილი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი (საა 90), რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ედუ, ვიეირა, რეიესი (პირესი 70), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კოული, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ვიეირა, ედუ

# სასაფლაო ოცნებების თეატრში






REUTERS მანჩესტერიდან

უეინ რუნიმ დაბადების დღე გოლით გაილამაზა

**რუუდ ვან ნისტელროიმ** აჯობა გულისმკვლელ წარსულს გუშინ საღამოს წვიმიან „ოლდ ტრეფორდზე“ და პენალტი გაუტანა „არსენალს“. ამ გარდამტეხი გოლით „მანჩესტერმა“ შეწყვიტა „მეთოფეთა“ უგრძესი წაუგებელი სერია. „არსენალი“ რომ არ დამარცხებულიყო, 50 წაუგებელი მატჩი დაუგროვდებოდა. ოცნებების თეატრში „არსენალი“ დაეცა ფიცხელ ბრძოლაში, რომელშიაც წაგებაზე არც უფიქრია.

სერ ალექს ფერგიუსონმა აუსრულა მთელი კვირის დანაქადნი ინგლისის ჩემპიონსა და ცხრილის ლიდერს და მანჩესტერიდან დამარცხებული გაუშვა. „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ შორის ახლა სხვაობა კვლავაც გვარიანია, მთელი 8 ქულა, თუმცა, ამ გამარჯვებას სხვა მნიშვნელობა აქვს — „მანჩესტერმა“ დაამარცხა აღიარებული ლიდერი მაშინ, როცა თავად მთლად კარგად ვერ მისდის საქმეები.

ვან ნისტელროიმ გაბედა და მივიდა პენალტის ნიშნულთან მას შემდეგ, რაც შარშან ამ დროს, ამავე სტადიონზე, ამავ იანს ლემანის კარის წინ იგივე იტვირთა და ბურთი ძელს გაარტყა, რის შემდეგაც „არსენალის“ მოთამაშეებმა გალახეს. ასე რომ, ჰოლანდიელმა დაამარცხა თავისი დემონები და მისი ღრიალი იმ წვიმიან ღრუბლებსაც მისწვდა. პენალტი თავისი გუნდისთვის 72-ე წუთზე უეინ რუნიმ მოინადირა, მოხერხებულად შეეგება სოლ კემპბელის ფეხს. მეორე გოლი თავად რუნიმ გაიტანა 94-ე წუთზე, კონტრეშეტევისას, ალან სმიტის კოხტა პასით. სწორედ გუშინ, „მანჩესტერის“ ყრმა ვარსკვლავი 19 წლისა შესრულდა.

სხვაფრივ ეს თამაში კი არა, ყვითელი ბარათებით გაჯერებული ძალლების ბრძოლა იყო. მსაჯი მაიკ რაილი არ ინდობდა ხისტად მოთამაშე, ნამდვილად დანის პირზე მოსიარულე ფეხბურთელებს.

„არსენალს“ მწყობრში ჰყავდა კაპიტანი პატრიკ ვიეირა. მისგან განსხვავებით, „მანჩესტერმა“ ვერ გამოიყვანა თავისი უქეიფოდ შექნილი თილისმა — სკიპერი როი კინი. კაპიტნობა რიო ფერდინანდმა გასწია, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა. „მეთოფეთა“ შორის საუკეთესო მომენტები დენის ბერხკამპსა და ტიერი ანრის ჰქონდათ. მასპინძელთაგან რაიან გიგზს. თამაში მეტად მძიმე იყო, თუმცა „არსენალი“ უფრო დაწყობილი და ღონიერი იერისა ჩანდა და თავისი მოსრიალე პასებით გაწყობილი თამაშიც უკეთ გამოსდიოდა, თუმც, საბოლოოდ მაინც „მანჩესტერის“ დაუძლეველმა წყურვილმა და შინაგანმა განწყობამ იმარჯვა. უხეშობა იყო — უფრო თამაშის სულიდან გამომდინარე.

„მეთოფეთა“ სერია დასრულდა. ისინი კვლავ რჩებიან პრემიერლიგის ლიდერებად. ოღონდაც, ეს მარცხი ძალიან მაგარი ნოკდაუნი იყო, რომლითაც სერ ალექს ფერგიუსონმა არსენ ვენგერს არცთუ თავმდაბლურად შეახსენა, აქა ვარო. ეს იყო პასუხი ვენგერის განცხადებაზე, „მანჩესტერმა“ საუკეთესო წლები უკან მოიტოვა და კონკურენტად აღარ ვთვლიო.

ეს მარცხი ძალიან მწარე იყო „არსენალისთვის“. გამარჯვება კი იმედისმომცემი ჩანს „მანჩესტერისთვის“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რეინჯერსის ბედკრული პერიოდი

## უძრაობა და დაუნდობლობა


REUTERS გლაზგოდან

რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი. ჩაფარი დადო პრსო (მარცხნივ) თავისიანებს გოლით ვერ შეეწია

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. X ტური**

**აბერდინი 2:1 მოზერუელი**
0:1 მაკბრაიდი (29პ), 1:1 ადამსი (67), 2:1 სევერინი (89)

**დანდი 1:2 დანფერმლაინი**
0:1 ტომსონი (35), 0:2 იანგი (48), 1:2 ანდერსონი (52)

**კილმარნოკი 2:2 ინვერნესი**
1:0 მიურეი (5), 1:1 უილსონი (16), 2:1 გრირი (27), 2:2 ფოქსი (83)

**ლივინგსტონი 2:4 სელტიკი**
0:1 ს. პეტროვი (2), 0:2 ა. კამარა (14), 0:3 ჰართსონი (19), 0:4 კ. სატონი (32), 1:4, 2:4 ბ. ობრაიენი (45, 53)

**ჰართსი 2:1 ჰიბერნიანი**
1:0 კისნორბო (15), 2:0 ჰამილი (76), 2:1 რიორდანი (90)

**რეინჯერსი 1:1 დანდი იუნ.**
1:0 ნოვო (69), 1:1 რობსონი (90)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, ენდრიუსი, ბუმსონგი, ხიზანიშვილი, მალკოლმი, რიკსენი, ბარკი (ნამუში 87), ვინალი, ლოვენკრანდსი, არველაძე (ს. ტომპსონი 54), პრსო
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**გაფრთხილება:** ნოვო
**მსაჯი:** კონროი
46 796 მაყურებელი

„რეინჯერსი“ ამ სეზონში გუნდია, ბოლო წლებში ამაზე უარესი რომ არ ყოფილა. მაინც რა არის დღევანდელი „რეინჯერსი“? გუნდი, რომელიც ბურთს ხეირიანად ვერ აგორებს და სიხისტე-აგრესიულობაშიც მოიკოჭლებს.

ასეთი იყო „რეინჯერსი“ გუშინაც. გლაზგოელები ნაჩო ნოვომ კი დააწინაურა, მაგრამ „დანდი იუნაიტედი“ წაგებისგან ბარი რობსონმა იხსნა — ბოლო წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა და „აიბროქსზე“ მისულ 47 ათასამდე „რეინჯერსის“ ქომაგს პირი დაალებინა.

„რეინჯერსის“ დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა ნამატჩევს თქვა, დღევანდელი შედეგი დიდი უძრაობის მანიშნებელიაო და კიდევ: „მეტოქე თავს კარგად იცავდა, თუმც დაუოკებლობა და გამარჯვების დიდი სურვილი გვაკლდა. საკმარისად დაუნდობლები არ ვიყავით“.

რაც შეეხება შოთა არველაძეს, ის გუშინაც ნახევარმცველი იყო.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 10 | 9 | 1 | 0 | 28:7 | 28 |
| რეინჯერსი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:3 | 21 |
| აბერდინი | 10 | 5 | 4 | 1 | 11:5 | 19 |
| ჰიბერნიანი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:16 | 15 |
| ჰართსი | 10 | 4 | 3 | 3 | 7:7 | 15 |
| მოზერუელი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:15 | 14 |
| კილმარნოკი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:17 | 13 |
| დანდი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:17 | 9 |
| ლივინგსტონი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | 9 |
| დანფერმლაინი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:13 | 9 |
| დანდი იუნ. | 10 | 1 | 4 | 5 | 11:21 | 7 |
| ინვერნესი | 10 | 1 | 2 | 7 | 9:18 | 5 |

**I დივიზიონი. XI ტური**

ფოლკირკი — სენტ მირენი 0:0; პარტიკი — კლაიდი 0:0; რეითი — ჰამილტონი 2:2; როსი — ქუინი 1:0; სენტ ჯონსტონი — ერდრი 1:1

**II დივიზიონი. XI ტური**

ალოა — სტრანრარი 1:2; არბროთი — სტირლინგი 2:1; ეარი — დამბარტონი 0:1; ბრეჩინი — ფორფარი 2:0; მორტონი — ბერვიკი 2:0

**III დივიზიონი. XI ტური**

ალბიონი — გრეტნა 2:6; კოუდენბითი — ქუინზ პარკი 2:1; ისტ სტირლინგი — პიტერჰედი 1:2; ელგინი — სტენჰაუზმური 1:1; მონტროუზი — ისტ ფაიფი 2:1

# ლამაზი გოლების საღამო



REUTERS

სიენა — იუვენტუსი. ალესანდრო დელ პიერომ საგოლედ ორჯერ მოიქნია

## იტალია

### სერია A. VII ტური

**მილანი 0:0 ინტერი**

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 70), კაკა, შევჩენკო, კრესპო (ტომასონი 73)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ა. ფონტანა, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ხ. ვერონი, კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, ემრე (ვან დერ მეიდე 75), ადრიანო, ვიერი (ო. მარტინსი 79)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კორდობა, მატერაცი, კამბიასო, ფავალი, ამბროზინი
მსაჯი: როზეტი
79 775 მაყურებელი

**სიენა 0:3 იუვენტუსი**

0:1, 0:2 დელ პიერო (53, 60), 0:3 კამორანეზი (63)
სიენა: ფორტინი, ჩირილო, არჯილი, პორტანოვა, ფალზინი (კამორანი 46), ნიკოლა, პეკია (ტ. ფლო 74), დი დონატო, ვერგასოლა, გრაფიედი (კიუმიენტო 66), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, აპია (ტაკინარდი 85), ნედვედი, დელ პიერო (კაპო 79), იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 67)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: პოტრანოვა, ძებინა
მსაჯი: ბერტინი
15 000 მაყურებელი

**რომა 1:1 პალერმო**

0:1 გროსო (32), 1:1 ტოტი (57პ)
რომა: ძოტი, სარტორი, მექსეში, მ. ფერარი, კუფრე, მანსინი (კორვია 83), დაკური, პეროტა (მიდო 39), დე როსი, ტოტი, მონტელა (აკილანი 80)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, ლ. გონსალესი (რაიმონდი 60), ბარონე, კორინი, მუტარელი, ბრიენძა (ფარიასი 71), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: მუტარელი, ძაკარდო, ბარძალი, მანსინი
მსაჯი: ტრეფოლონი
55 000 მაყურებელი

**პარმა 3:1 ლაციო**

1:0 მარკიონი (16), 2:0 ბრეშიანო (27), 2:1 როკი (37), 3:1 ჯილარდინო (64)
*მორფეომ ვერ გაიტანა პენალტი (76, მცველი)*
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, კონტინი, პოტენცა, ბოლანო (გრელა 82), სიმპლისიო, მარკიონი, მორფეო (როზინა 80), ჯილარდინო, ბრეშიანო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ლაციო: სერენი, ო. ლოპესი, სივილია, ფ. კოუტუ, ძაური, ა. ფილიპინი (პანდევი 54), დაბო, ჯანიკედა (ე. გონსალესი 68), კ. მანფრედინი (დი კანიო 60), მუცი, როკი
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: პოტენცა, ბოლანო, სივილია
მსაჯი: მესინა
12 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:2 ფიორენტინა**

0:1 მიკოლი (15), 1:1 მაური (17), 2:1 სენსინი (51), 2:2 მიკოლი (66)
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, იანკულოვსკი, პინცი (პაზიენცა 66), მაური (დ. პიზარო 64), მუნტარი, პიერი, დი მიკელე (დი ნატალე 62), ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი, დაინელი, კიელინი, არიატი, ობოდო, მარესკა (მ. ფონტანა 83), იორგენსენი, ნაკატა (პორტილიო 62), მიკოლი (ფანტინი 83)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: მუნტარი, მაური, პინცი
მსაჯი: ლაკალბუტო
15 000 მაყურებელი

**სამპდორია 0:1 ბრეშა**

0:1 დი ბიაჯო (57პ)
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, პავანი, ფალკონე, პიზანო (კუტუზოვი 70), დიანა, ვოლპი, პალომბო, დონი (როსინი 83), ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო (ძობოლი 67), მარეკო, დალამანო, გუანა, მილანეტო (დელ ნერო 76), დომიცი, სტანკევიჩიუსი, მანინი, სკული (ნიგაარდი 74)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ფლაკი, დონი, მანინი, დიანა, ძობოლი, მარეკო, კუტუზოვი, ბაცანი, სტანკევიჩიუსი, ძობოლი
გაძევება: ძობოლი (90)
მსაჯი: საკანი
25 832 მაყურებელი

**მესინა 1:4 ლეჩე**

0:1 ვუჩინიჩი (5), 0:2 ბიელანოვიჩი (38), 1:2 დი ნაპოლი (43), 1:3 ბიელანოვიჩი (44), 1:4 დალა ბონა (89)
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, მ. კონტე, რეზაეი, პარიზი, ჯამპა (ილიევი 57), კოპოლა, დონატი, სულო (იანაგისავა 65), ძამპანა (ნ. ამორუზო 72), დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი (პაჩი 85), ლედესმა, დალა ბონა, ბაბუ, ბიელანოვიჩი (ბოჟინოვი 70), ვუჩინიჩი (ერიომენკო 65)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ზორო კპოლო, დიამუტენე, ილიევი
მსაჯი: ფარინა
32 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:0 ბოლონია**

1:0 კ. ლუკარელი (71)
ლივორნო: ამელია, მელარა, ვარგასი, ა. ლუკარელი (გალანტე 81), რუოტოლო (ბალერი 67), ვიჯანი, პასონი, დოგა (ვიდიგალი 58), ჯალომბარდო, პროტი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, პეტრუცი, ტორიზი, სუსი, ლოვიზო, ნერვო (ბინოტო 28), კ. ამორუზო, ლოკატელი (კაპუანო 60), ბელუჩი, ტარე (ჩიპრიანი 60)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ამორუზო, ვარგასი, ტორიზი, ჩიპრიანი, ჟუარესი
მსაჯი: ნუჩინი
17 000 მაყურებელი

**კიევო 0:0 რეჯინა**

კიევო: მარკეჯანი, მალაგო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სემიოლი (ფ. მორო 67), ბრიგი, ბარონიო (ძანკეტა 56), დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო, ამაური (პელისიერი 56)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
რეჯინა: პავარინი, ი. ფრანჩესკინი, ძამბონი, კანარზა, მესტო (განჩი 73), ტედესკო, მოცარტი, ჯ. კოლუჩი (ბორიელო 82), ბალესტრი, ნაკამურა, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ლანა, მოცარტი, ლანა
გაძევება: ლანა (63)
მსაჯი: კოლინა
7 897 მაყურებელი

**ატალანტა 2:2 კალიარი**

1:0 პაცინი (2), 1:1 ესპოზიტო (11), 1:2 ლორია (28), 2:2 მონტოლივო (40)
ატალანტა: ტაიბი, რივალტა, გომელა, ნატალი, ბელინი, მინგაცინი (ლაცარი 81), ალბერტინი, მარკოლინი (გაუტიერი 68), მონტოლივო, საუდატი (ბუდანი 58), პაცინი
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ლორია, აგოსტინი, აბეიხონი, ბრამბილა, გობი, მ. ესპოზიტო, სუაცო (დელნევო 60), ძოლა (ლანგელა 68)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: აგოსტინი, ლორია, ბრამბილა, ბრამბილა, ნატალი, მარკოლინი, ალბერტინი, გობი
გაძევება: ბრამბილა (50)
მსაჯი: პიერი
12 000 მაყურებელი

„იუვენტუსმა“ ლიდერობა შაბათს საღამოსვე შეინარჩუნა — სიენაში ჩავიდა და თვალსაჩინოდ მოიგო 3:0, რითაც ის გააკეთა, რომ გუშინ, გვიან, მილანური დერბისთვის, ხოლო ნაშუადღევს სხვა თამაშებისთვის მშვიდად შეეძლო თვალი ედევნებინა. „ბებერი ქალბატონის“ „სიენასთან“ გამარჯვება არ იყო მოწინააღმდეგის ჩაგვრა, რბევა და მით უმეტეს დამცირება. ეს იყო კლასში კონკრეტული უპირატესობა და ზუსტად იმდენი ოფლის ღვრა, რამდენიც გარანტირებული შედეგის მისაღწევად გახლდათ საჭირო. მერედა, ეს დღე ტურინელების ჩეხ ვარსკვლავს, პაველ ნედვედს მშვიდი და უსახური გამოუვიდა, თუმცა გუნდის ქომაგებისთვი მაინც მოხდა ფრიად სასიხარულო და სამომავლო დიდი თამაშების წინ იმედისმომცემი რამ — სამიდან ორი გოლი ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შავ-თეთრების“ კაპიტანმა ერთი, რომ ტრავმა მოიშუშა და მეორე, ის ისევ ფორმაშია. საგულისხმოა, რომ დელ პიეროს ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან კი არა, თამაშიდან გავიდა.

„კარგი გუნდი გვყავს — თქვა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონი“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — კარგად ვითამაშეთ იმ მეტოქის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი პრობლემები შეგვიქმნა. რაც შეეხება დელ პიეროს, მას მხოლოდ ერთი მომენტი სჭირდებოდა, როდესაც ისევ იპოვნიდა თავს და დღეს მან უკვე გააკეთა ისეთი რამეები, რაც დიდი ხანი არ გაეკეთებინა“.

თავად დელ პიერომ კი ასე ბრძანა: „გოლების გარდა, რომელთა გატანაში ცოტა იღბალმაც შემიწყო ხელი — ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ფიზიკური თვალსაზრისით გადავდგი წინ ნაბიჯი“.

„სიენას“ თავკაცმა, ჯიჯი სიმონიმ თავის მხრივ განაცხადა, რომ ფეხბურთელებს მეტს ველარაფერს მოსთხოვდა, რადგან მათ, შესვენებამდე „იუვენტუსს“ ტოლი არაფერში დაუდეს, ხოლო პირველი გაშვებული გოლის შემდეგ ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ.

ძალიან საინტერესო გამოდგა „პარმასა“ და „ლაციოს“ თამაში, რომელშიც ერთიმეორეზე უკეთესი გოლები გავიდა, პლუს პარმელმა დომენიკო მორფეომ პენალტი ვერ გაიტანა — მატეო სერენიმ აუღო. ასე და ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ჯალობლუ“ ანუ „ლურჯ-ყვითელი“ გუნდი გამარჯვებების გზას უბრუნდება. ძალიან ეფექტური გახლდათ პარმელების პირველი გოლი. მორფეომ მარჯვნიდან, ჯარიმიდან ჩააწოდა, ხოლო რომაელთა საჯარიმოში, შორეულ ძელთან, მარკო მარკიონიმ ულამაზესი მაკრატელა მოიქნია... და ძალიან ლამაზი გახლდათ მესამეც, როდესაც მორფეომ საინტერესი გადაცემით ჯილარდინო მოამარაგა საჯარიმოში, რომელმაც ადგილზე მკერდით მიიღო ბურთი და ჰაერიდანვე დაარტყა. ვფიქრობ, ამ ორი-სამი წინადადებით ნათელი გახდა, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი პარმელი დომენიკო მორფეო გახლდათ.

„რომამ“ უმასპინძლა „პალერმოს“ და აგებდა, სანამ 57-ე წუთზე ფრანჩესკო ტოტიმ პენალტით არ გაათანაბრა. პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ ტოტიმ ვინჩენცო მონტელას პასი შეუგდო (თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მონტელა ამ მომენტში ოფსაიდში იყო), ხოლო სიცილიელთა გოლის ავტორმა, ფაბიო გროსომ ფორვარდი წააქცია.

„რომას“, შეიძლება ითქვას, მორიგი კრიზისული სიტუაცია აქვს: ანტონიო კასანო ვერ ან არ თამაშობდა და საერთოდაც, როგორც ჩანს, მისი სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია, ხოლო ვეტერანმა კრისტიან პანუჩიმ შაბათს, ვარჯიშის დროს მწვრთნელზე, ლუიჯი დელ ნერიზე გაილაშქრა და კლუბის მიერვე იყო დასჯილი.

„მესინამ“ შინ წააგო „ლეჩესთან“: 1:4. ცნობისთვის: მესინელებს შინ ბოლოს ისევ „ლეჩესთან“ ჰქონდათ წაგებული, თორემ სხვა ვერავინ უგებდა.

**პაპუნა ძიძია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 6 |
| შევჩენკო (მილანი) | 5 |
| ადრიანო (ინტერი) | 5 |
| ბიელანოვიჩი (ლეჩე) | 5 |

**VIII ტური**

27 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | : | უდინეზე |
| ბრეშა | : | სიენა |
| კალიარი | : | პარმა |
| კიევო | : | სამპდორია |
| იუვენტუსი | : | რომა |
| ლაციო | : | მესინა |
| ლეჩე | : | ინტერი |
| მილანი | : | ატალანტა |
| პალერმო | : | ლივორნო |
| რეჯინა | : | ფიორენტინა |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:2 | 13 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 |
| 2 ლეჩე | 7 | 4 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 5 |
| 3 მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 14 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 |
| 4 კიევო | 7 | 3 | 4 | 0 | 7:4 | 3 | 13 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 |
| 5 ინტერი | 7 | 2 | 5 | 0 | 14:11 | 3 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 1 | 6 |
| 6 მესინა | 7 | 3 | 2 | 2 | 12:11 | 1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 7 კალიარი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 8 პალერმო | 7 | 2 | 4 | 1 | 5:5 | 0 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 9 რომა | 7 | 2 | 3 | 2 | 13:13 | 0 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 3 |
| 10 ბოლონია | 7 | 3 | 0 | 4 | 7:8 | -1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 11 სამპდორია | 7 | 3 | 0 | 4 | 6:7 | -1 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 12 ბრეშა | 7 | 3 | 0 | 4 | 8:13 | -5 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 |
| 13 ლაციო | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | -1 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 14 რეჯინა | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 15 ფიორენტინა | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 16 უდინეზე | 7 | 1 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 2 |
| 17 პარმა | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | -5 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | -6 | 1 |
| 18 ლივორნო | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 19 სიენა | 7 | 1 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 20 ატალანტა | 7 | 0 | 4 | 3 | 9:13 | -4 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | -1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |

### სერია B

**IX ტური**

**კატანძარო 2:1 მოდენა**
1:0 მორელო (43), 2:0 კარბონე (50), 2:1 აზამუა (90)

**ვიჩენცა 2:1 ვენეცია**
0:1 ხოსე გონსალესი (10ს.კ.), 1:1 მოსკარდი (56), 2:1 ბონანი (59)

**არეცო 2:2 ჯენოა**
0:1 დ. მილიტო (18), 1:1 სპინეზი (37), 1:2 მაკინვა (43), 2:2 სკოტი (51)

**ასკოლი 3:1 ბარი**
0:1 ს. მოტა (1), 1:1 ბუკი (65), 2:1 კოლაჩონე (69), 3:1 ბუკი (85)

**კატანია 2:0 ტერნანა**
1:0 ფერანტე (45), 2:0 მიკელი (49)

**ემპოლი 0:0 კროტონე**

**პერუჯა 4:1 პესკარა**
1:0, 2:0 სედივეცი (28, 57), 3:0 მილანეზე (72), 4:0 ფერინო (75), 4:1 ძოლი (88)

**სალერნიტანა 3:2 პიაჩენცა**
1:0 პალადინო (10პ), 1:1 პეპე (46), 2:1 რადიჩე (59ს.კ.), 3:1 ტერნი (64), 4:1 ლუჩენტი (70)

**ტორინო 0:0 ჩეზენა**

**ტრევიზო 0:2 ალბინოლეფე**
0:1 გორი (11), 0:2 პოსანცინი (71)

**ტრიესტინა 1:2 ვერონა**
0:1 ადაილტონი (55პ), 1:1 მოსკარდელი (64), 1:2 ბოგდანი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| ჯენოა | 9 | 5 | 3 | 1 | 21:10 | 18 |
| ალბინოლეფე | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| ტორინო | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| ასკოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:11 | 17 |
| პერუჯა | 9 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 16 |
| ვიჩენცა | 9 | 5 | 1 | 3 | 16:14 | 16 |
| პიაჩენცა | 9 | 5 | 0 | 4 | 14:15 | 15 |
| კატანია | 9 | 4 | 2 | 3 | 12:14 | 14 |
| არეცო | 9 | 3 | 4 | 2 | 19:14 | 13 |
| ვერონა | 9 | 4 | 1 | 4 | 16:13 | 13 |
| ჩეზენა | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| კატანძარო | 9 | 3 | 2 | 4 | 13:12 | 11 |
| ტრიესტინა | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | 10 |
| მოდენა | 9 | 4 | 1 | 4 | 10:9 | 9 |
| ტერნანა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| კროტონე | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | 8 |
| პესკარა | 9 | 1 | 4 | 4 | 9:15 | 7 |
| ვენეცია | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | 7 |
| სალერნიტანა | 9 | 1 | 4 | 4 | 7:19 | 7 |
| ბარი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | 6 |
| ტრევიზო | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, ხოლო „ბარის“ 1 ქულა*

### სერია C1/A. X ტური

ლუკეზე — ს. ტორესი 1:1; კომო — ფ. ანდრია 2:1; კრემონეზე — პავია 2:1; ფროზინონე — აკირეალე 1:0; გროსეტო — სპეცია 2:1; ლუმეცანე — მანტოვა 2:4; ნოვარა — პრატო 1:0; პისტოიეზე — პიზა 2:1; ვიტორია — პრო პატრია 1:0

### სერია C1/B. X ტური

აველინო — რეჯანა 0:0; კიეტი — ტერამო 3:2; ჯულიანოვა — ლანჩანო 1:0; მარტინა — ჩიტადელა 0:0; პადოვა — სორა 4:2; რიმინი — პეზარო 1:1; სამბენედეტეზე — ბენევენტო 3:0; სპალ — ნაპოლი 0:0. ფოჯა — ფერმანა დღეს გაიმართება

# ოუენის კიდევ ერთი სამქულიანი


REUTERS

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. VIII ტური

**ბარსელონა 3:0 ოსასუნა**

1:0 ეტოო (39), 2:0 რონალდინიო (43პ), 3:0 ეტოო (90)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი (ფ. ნავარო 75), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, ჟიული (ინიესტა 59), დეკო, რონალდინიო (მესი 72), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, კრუჩაგა, ხოსეჩო, კორალესი, პუნიალი, მოა (დელპორტი 67), დავიდ ლოპესი, ვალდო (რუბენ გარსია 53), მუნიოსი, ვებო (ალოიზი 53)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ბელეტი, პუნიალი, მოა, ხოსეჩო, რუბენ გარსია, დეკო, მუნიოსი
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
65 000 მაყურებელი

**რეალი 1:0 ვალენსია**

1:0 ოუენი (6)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, ვ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სელადესი 86), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო (მორიენტესი 79), ოუენი (სოლარი 58)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, რუფეტე (ფიორე 46), ალბელდა, ბარახა, სისოკო (აიმარი 45), ანგულო, დი ვაიო (მისტა 67)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სისოკო, კურო ტორესი, რაული, რობერტო კარლოსი, მარჩენა
მსაჯი: პერეს ლასა
78 326 მაყურებელი

**მალაგა 1:1 დეპორტივო**

1:0 ვანჩოპე (6), 1:1 ტრისტანი (85)
მალაგა: კალატაიუდი, ვალკარსე, სანსი, ხუანიტო, ხერარდო, რომერო, ლეკო (ხუან როდრიგესი 67), დუდე (ლუკე 75), მიგელ ანხელი, ედგარი, ვანჩოპე (მანუ 79)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, მ. სესარი (ფრანი 65), კაპდევილა, ვიქტორი (მუნიტისი 70), დუშერი, სერხიო, ვალერონი, პანდიანი (ტრისტანი 78), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სანსი, მიგელ ანხელი, ხერარდო, რომერო, კაპდევილა, ვალკარსე
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
26 000 მაყურებელი

**სევილია 2:1 ატლეტიკო**

1:0 აიტორ ოსიო (10), 2:0 ბაპტისტა (52), 2:1 პაბლო (90)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, აიტორ ოსიო, სერხიო რამოსი, ბაპტისტა, რენატო, მარტი, ანტონიო ლოპესი (დიეგო ჩაპელი 88), ხესუს ნავასი (ფერნანდო სალესი 69), არანდა (დარიო სილვა 75)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო (აგილერა 54), ანტონიო ლოპესი, სერხი, პერეა, პაბლო, მარსელო სოსა, ხორხე (სალვა 55), იბაგასა, ლუქსენი (ნოვო 71), ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: პერეა, დარიო სილვა, სერხი
მსაჯი: კარმონა მენდესი
45 000 მაყურებელი

**ალბასეტე 1:0 ბილბაო**

1:0 რუბენ კასტრო (43)
ალბასეტე: ვალბუენა, გასპარი, რუბენი (ფრანსისკო 56), პენია, ბუადესი, ხაიმე (ვიაუდი 62), რედონდო, ალვარო, მომო, რუბენ კასტრო, პაჩეკო (ივან დიასი 80)
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
ბილბაო: არანსუბია, კასასი, ლუის პრიეტო, ორბაისი, მურილიო, სეზარი, ფელიპე (ხონანი 46), ბორდასი (ირაოლა 55), იესტე, ეჩებერია, ასკორა (ურსაისი 59)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ლუის პრიეტო, კასასი, ბუადესი, ვიაუდი, მომო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
14 100 მაყურებელი

**ლევანტე 0:2 ესპანიოლი**

0:1 ოსკარ სერანო (51), 0:2 ლოპო (72)
ლევანტე: მორა, ჰარტი, პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, ეტიენი (ჟოფრე 76), რივერა, სელესტინი, ნაჩო, სერხიო გარსია (კონგო 64), მანჩევი (კუელიარი 87)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, პოჩეტინიო, იტო (სოლდევილა 89), ფრედსონი (მორალესი 81), ალექს ფერნანდესი, დანი (მაქსი როდრიგესი 72), ტამუდო, ოსკარ სერანო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: იტო, ხესულე, ჰარტი, დანი, კონგო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
18 142 მაყურებელი

**ხეტაფე 0:2 ბეტისი**

0:1 ტაისი (49), 0:2 ოლივეირა (75)
ხეტაფე: სანჩეს ბროტო, იანგუასი (იორდი 72), პერნია, ნანო, ამაია, რივასი, გაბი, ვივარ დორადო (კრაიოვიანუ 55), მარიო (გალიარდო 65), პაჩონი, რიკი
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
ბეტისი: დობლასი, ლემბო, მ. რივასი, ვარელა, ტაისი, ფერნანდო, კანიასი (არზუ 59), ხოაკინი, ბენხამინი (მ. ასუნსაო 39), ოლივეირა, ედუ (კაპი 66)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: მ. რივასი, კანიასი, ლემბო, რივასი, ლემბო, ტაისი
გაძევება: ლემბო (64)
მსაჯი: უნდიანო მალენკო
13 000 მაყურებელი

**რასინგი 1:0 სარაგოსა**

1:0 რეგუერო (4)
რასინგი: აუატე, ორიოლი, პედრო ლოპესი, მორა, ხუანმა, მორანი, რეგუერო, პარი (ნაფტი 67), ანდერსონ სილვა, აგანსო (ხავი გერერო 76), ბენაიუნი (ხონათანი 88)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
სარაგოსა: ლუის გარსია, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, ჩანი, სავიო (გალეტი 62), პონსიო, ოსკარი (ხავი მორენო 62), მოვილია, სორიანო, დრულიჩი (ვილა 46)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: პედრო ლოპესი, ანდერსონ სილვა, ალვარო, ორიოლი, ბენაიუნი, რეგუერო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
12 280 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 მალიორკა**

1:0 კარპინი (12პ), 1:1 არანგო (52), 2:1 დე პაულა (85)
სოსიედადი: რიესგო, როსატო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი, არანბურუ, მიკელ ალონსო (არტეტა 55), გარიდო (გაბილონდო 46), კოვაჩევიჩი, ნიჰათი (დე პაულა 80)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
მალიორკა: მოია, კორტესი, პ. მიულერი (რამისი 23), პოლი, ნადალი, ბალესტეროსი, კამპანო (მარკოსი 69), ფარინოსი (ხესუს პერერა 87), არანგო, ხორხე ლოპესი, ლუის გარსია
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ბალესტეროსი, პოლი, რამისი, კოვაჩევიჩი, ლუის ალბერტო
მსაჯი: ესკინას ტორესი
22 669 მაყურებელი

**ვილიარეალი 4:0 ნუმანსია**

1:0 რიკელმე (20), 2:0, 3:0 ფონტი (60, 67), 4:0 ფორლანი (85)
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, ხავი ვენტა, პენია, არმანდუ სა, ხოსიკო (არზო 68), ფონტი, ბატალია, რიკელმე (სანტი კაზორლა 86), ფორლანი, ხოსე მარი (კასესი 72)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ნუმანსია: ნუნიესი, გრაფი, პინიოლი, ანტონიო, ხაიმე მოლინა, ხუან პაბლო, პალასიოსი (ოსორიო 52), კიასოსი (სესტელო 66), როსი (მ. ნუნიესი 52), მორენო, პინედა
მწვრთნელი: ფრანსისკო ლოპესი
გაფრთხილება: ანტონიო, ოსორიო, ხაიმე მოლინა
მსაჯი: რუბინოს პერესი
16 000 მაყურებელი

„ბარსელონამ" ისევ მოიგო, ამჯერად „ოსასუნას" სძლია და წინა ტურის მსგავსად ორმაგად გაიხარა — მისმა უახლოესმა მდევარმა ისევ ვერ მოიგო. უახლოესი მდევარი „ვალენსია" გახლდათ, რომელიც არათუ კიდევ სამი ქულით ჩამორჩა „ბარსას", არამედ მეორე ადგილიც დაუთმო „სევილიას".

მატჩი, რომელშიც „ვალენსია" დამარცხდა, რაღა თქმა უნდა, ტურის მთავარი თამაში იყო და მასზე უფრო დაწვრილებით ვთქვათ.

„ვალენსია" მაიკლ ოუენის გოლმა დაამარცხა. „რეალის" ინგლისელისთვის ეს ბოლო ორ მატჩში მეორე გოლი იყო და ორივე სამქულიანი გამოდგა — ჩემპიონთა ლიგაში მისი გოლით „რეალმა" კიევის „დინამოს" სძლია. ეს გოლი კი რაულმა და ზინედინ ზიდანმა მოამწიფეს. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ „რეალის" ახალ მწვრთნელს, მარიანო რემონს რაული მარცხენა ნახევარმცველად ჰყავდა გამწესებული.

სტუმრებს პაბლო აიმარი სასტარტო შემადგენლობაში არ ჰყავდათ, ვისენტე დაშავებული იყო და ამათი არყოფნა დიდადაც დაეტყო ვალენსიელთა იერიშებს, რომლებსაც აშკარად აკლდათ სიმწვავე. მოგვიანებით კლაუდიო რანიერიმ აიმარი მოედანზე შეუშვა, მას სტეფანო ფიორეც შეაშველა და „რეალის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც მყის შეიქმნა. ამის საპასუხოდ რემონმა ოუენი გაიწვია და მის მაგიერ სანტიაგო სოლარი შეიყვანა, რომელმაც ნახევარდაცვა გაამაგრა და „ვალენსიას" მწვავე შეტევების გაგრძელების საშუალება მოუსპო.

საბოლოოდ თამაში ოუენის ნახსენები გოლით „რეალმა" მოიგო და ოდნავ გამოისწორა საცხრილო მდგომარეობა.

„ვალენსიას" დაკარგულ მეორე ადგილს კი, როგორც მოგახსენეთ, „სევილია" დაესაკუთრა, მაგრამ ეჭვი გვაქვს, იქ დიდხანს ვერ გაძლებს — არ არის „სევილია" ის გუნდი. მაგრამ სადღეისოდ სევილიელებს ოთხივე საშინაო თამაში მოგებული აქვთ, რომელთაგან ბოლოში მადრიდის „ატლეტიკო" დაამარცხეს. აქ გამოსარჩევა ხულიო ბაპტისტას მეორე გოლი, მის უზრუნველს... [illegible] ჰყვა.

სხვა მატჩებში რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გავიდა ბოლო წუთებზე. მაგალითად, დიეგო ტრისტანის გოლი 86-ე წუთზე, რომელმაც „დეპორტივოს" მალაგაში ქულა გადაურჩინა. თუმცა ისიც დავძინოთ, რომ ლაკორუნიელები მაინცდამაინც არ იმსახურებდნენ ამ ფრეს, იმდენად საგრძნობი იყო მალაგელთა უპირატესობა.

ბოლო წუთებზე გადაწყდა მატჩის ბედი სან სებასტიანშიც, სადაც ოსკარ დე პაულას გოლმა „სოსიედადს" „მალიორკა" დაამარცხებინა. ანგარიში ვალერი კარპინმა გახსნა პენალტით, რომელიც სერხიო ბალესტეროსისგან დარკო კოვაჩევიჩის წაქცევისთვის დაინიშნა. კუნძულელთა ვენესუელელმა ნახევარმცველმა ხუან არანგომ კი გაათანაბრა, მაგრამ დე პაულამ მაინც გაიტანა „სოსიედადის" გამარჯვებისა. ამ მარცხით „მალიორკა" კვლავ დარჩა გასავარდნთა ზონაში, არადა, წინა კვირაში კლუბის უფროსობამ გამოაცხადა, რომ სრულად ენდობა მწვრთნელ ბენიტო ფლოროს.

ბოლოს კი იმით დავასრულოთ, რითაც დავიწყეთ — „ბარსელონას" მორიგი გამარჯვებით, რომლის შემოქმედიც რონალდინიო გახლდათ. მან მისცა საგოლე პასი სამუელ ეტოოს პირველი გოლისას, მერე კი თავად გაიტანა მისსავე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი. მესამე გოლი კი ისევ კამერუნელმა შეაგდო წამატებულ დროში.

**კოტე კეკელია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 14 | 22 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 |
| 2 სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 3 ვალენსია | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 5 |
| 4 ესპანიოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:5 | 4 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 3 | 6 |
| 5 ატლეტიკო | 8 | 4 | 1 | 3 | 8:5 | 3 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | -1 | 3 |
| 6 ლევანტე | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 4 |
| 7 რეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 6:5 | 1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 8 ოსასუნა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:13 | 0 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 4 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 |
| 9 სარაგოსა | 8 | 4 | 1 | 3 | 14:15 | -1 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 13:8 | 5 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 10 დეპორტივო | 8 | 3 | 3 | 2 | 10:13 | -3 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 4 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 |
| 11 მალაგა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 2 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 12 ვილიარეალი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:5 | 4 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:0 | 6 | 8 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 2 |
| 13 ბეტისი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:12 | -1 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | -2 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 14 ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 |
| 15 სოსიედადი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 |
| 16 ალბასეტე | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 1 |
| 17 რასინგი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 |
| 18 ხეტაფე | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 |
| 19 მალიორკა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:12 | -6 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 20 ნუმანსია | 8 | 1 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | -9 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 7 |
| მილოშევიჩი (ოსასუნა) | 5 |
| დი ვაიო (ვალენსია) | 5 |
| მანჩევი (ლევანტე) | 5 |

### IX ტური

31 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ბილბაო | ბარსელონა |
| ბეტისი | მალაგა |
| დეპორტივო | ალბასეტე |
| ესპანიოლი | ვილიარეალი |
| რეალი | ხეტაფე |
| ვალენსია | ატლეტიკო |
| სარაგოსა | სევილია |
| მალიორკა | რასინგი |
| ოსასუნა | ლევანტე |
| ნუმანსია | სოსიედადი |

## სეგუნდადივიზიონი

### IX ტური

**ლეიდა 1:1 ტენერიფე**

0:1 ლიმონესი (84), 1:1 ნაკორი (85)

**ხიმნასტიკი 2:0 ელჩე**

1:0 კიკე მარტინესი (22), 2:0 ფრანსისკო ტორესი (46)

**ხერესი 1:0 პონტევედრა**

1:0 რაულ მოლინა (13)

**ეიბარი 3:2 სიუდად მურსია**

1:0 ლორენტე (20), 2:0 გარიტანო (28), 3:0 ფერნანდესი (33ს.კ.), 3:1, 3:2 გუიზა (81პ, 89)

**ალავესი 4:1 ტერასა**

1:0 რაფაელ დიასი (24), 1:1 კიკე მარტინი (33), 2:1 ნენე (36), 3:1 ლუკასი (41), 4:1 ტიავუ (77)

**ალმერია 0:0 ვალიადოლიდი**

**სელტა 0:0 მალაგა B**

**მურსია 0:0 სალამანკა**

**ფეროლი 1:1 კადისი**

0:1 ოლი (10), 1:1 ფლავიო (36)

**უელვა 1:1 პოლი ეხიდო**

1:0 ტ. მორენო (15), 1:1 ტოედტლი (19)

**სპორტინგი 3:1 კორდობა**

0:1 არმენტანო (5), 1:1 ისმაილი (58), 2:1 ხუანი (65), 3:1 ისმაილი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 9 | 5 | 4 | 0 | 11:5 | 19 |
| პოლი ეხიდო | 9 | 5 | 3 | 1 | 14:5 | 18 |
| ეიბარი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:10 | 17 |
| ფეროლი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:7 | 16 |
| ალავესი | 9 | 4 | 3 | 2 | 19:13 | 15 |
| კადისი | 9 | 4 | 3 | 2 | 9:6 | 15 |
| ელჩე | 9 | 4 | 3 | 2 | 10:8 | 15 |
| ლეიდა | 9 | 4 | 2 | 3 | 10:8 | 14 |
| ტენერიფე | 9 | 3 | 4 | 2 | 9:8 | 13 |
| სპორტინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:7 | 12 |
| ტერასა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 11 |
| სელტა | 9 | 2 | 5 | 2 | 7:8 | 11 |
| მალაგა B | 9 | 3 | 2 | 4 | 6:7 | 11 |
| ალმერია | 9 | 3 | 2 | 4 | 5:6 | 11 |
| სალამანკა | 9 | 3 | 2 | 4 | 6:9 | 11 |
| პონტევედრა | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| ვალიადოლიდი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | 10 |
| უელვა | 9 | 2 | 4 | 3 | 4:5 | 10 |
| ხიმნასტიკი | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| სიუდად მურსია | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 8 |
| მურსია | 9 | 1 | 2 | 6 | 6:17 | 5 |
| კორდობა | 9 | 1 | 1 | 7 | 4:12 | 4 |

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XI ტური

**ისტრი 0:0 ლიონი**

**სენტ ეტიენი 0:0 ბორდო**

**კაენი 2:1 ნანტი**

0:1 ბრატუ (7), 1:1 ლემიტრი (43), 2:1 ვატიე (63)

**პსჟ 1:0 აიაჩო**

1:0 პანკრატე (10)

**რენი 3:1 მეცი**

0:1 ბორბიკონი (21), 1:1, 2:1 ა. ფრეი (30, 42), 3:1 მონტერუბიო (66პ)

**სტრასბური 3:1 ნიცა**

1:0 დეროფი (37), 1:1 ბალმონი (79), 2:1 პაგი (82პ), 3:1 არახე (86)

**ბასტია 1:1 სოშო**

0:1 სანტოსი (10), 1:1 სიდიბე (41)

**მონაკო 0:0 ოსერი**

**ტულუზი 1:0 ლილი**

1:0 ედუარდო (90)

**ლანსი 0:0 მარსელი**

„ლიონი“ კვლავ დაუმარცხებელია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, „ისტრთან“ 0:0 ორი ქულის დაკარგვასაც ნიშნავს.

„ცხადია, ამ ფრემ უსიამოვნო გრძნობა დაგვიტოვა — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა — ვფიქრობ, ამაში დამნაშავე ჩემპიონთა ლიგის თამაში („ფენერბაჰჩესთან“ 3:1 გამარჯვება) გახლდათ, რომელმაც სამშბათს დიდი ძალები შეიწირა, მაგრამ მეორე მხრივ, ჩემპიონთა ლიგაში თამაში იმხელა ბედნიერებაა, რომ ყველაფრად ღირს. ყველაფერ ცუდში კაცმა კარგი უნდა ეძებოს. კარგია, რომ „ისტრთან“ ერთი ქულა მაინც მოვიპოვეთ და ძველებურად დაუმარცხებელნი ვართ“.

შეგახსენებთ, რომ „ლიონს“, ყველა შეჯიბრებაში ერთად, გასული მაისის შემდეგ არ წაუგია, ხოლო „ისტრს“ მას არ მერე მოუგია, რაც უმაღლეს ფრანგულ დივიზონში ალზევდა. თანაც „ისტრი“ საშინაო

# გაუმარჯოს ასეთ დაღლილობას



REUTERS მონტე კარლოდან

მონაკო — ოსერი. ხავიერ ჩევანტონმ სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა

თამაშებს შინიდან 70 კილომეტრის მოშორებით, ნიმში თამაშობს და ყოველივე ამას თუ შეკრებთ, იოლი წარმოსადგენია, რომ მასპინძლებმა ეს ფრე უდიდეს წარმატებად მიიღეს და ისე იზეიმეს.

„ცხადია, ლიონელები დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენც ჩვენი საუკეთესო ფეხბურთი ვითამაშეთ“ — განაცხადა „ისტრის“ სპორტულმა დირექტორმა ფრანკ პრიომ, რომელიც შეფასებებში აბსოლუტურად მართალი გახლდათ, რადგან მისმა ფეხბურთელებმა მატჩის მსვლელობისას ორჯერ გაარტყეს ძელს ბურთი.

„სტრასბურმა“ ამასობაში შინ „ნიცას“ მოუგო 3:1. მასპინძლებმა ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს, როდესაც ნიცელთა კარში ბურთი ივ დეროფმა შეაგდო, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე ფლორენ ბალმონტმა გატოლებით სტრასბურელები გვარიანად შეაშინა.

და მაინც, საბოლოოდ ყელაფერი „სტრასბურის“ სასარგებლოდ დასრულდა — ბოლო 10 წუთში მიკაელ პაგისის და სალიმ არაშეს ორმა წარმატებულმა დარტყმამ ამ გუნდის საჭოჭმანო საქმე ცოტა არ იყოს გამოასწორა.

„პარი სენ ჟერმენს“ კი „აიაჩოს“ შინ დასამარცხებლად ფაბრის პანკრატის ალრეული და ერთადერთი ზუსტი დარტყმა ეყო.

ახლა „კაენის“ საქმის ვთქვათ: ანგარიში კაენელებთან შეხვედრაში მოწინააღმდეგემ, „ნანტმა“ გახსნა, მაგრამ მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლით გასცეს სტუმრებს პასუხი.

„ბორდო“ კი „სენტ ეტიენში“ წავიდა და 0:0 ითამაშა.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 11 | 6 | 5 | 0 | 15:5 | 23 |
| ლილი | 11 | 7 | 1 | 3 | 14:6 | 22 |
| ოსერი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:9 | 20 |
| მონაკო | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 19 |
| მარსელი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:8 | 18 |
| ბორდო | 11 | 3 | 7 | 1 | 15:7 | 16 |
| ტულუზი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:12 | 15 |
| სოშო | 11 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 15 |
| ნანტი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:9 | 15 |
| ნიცა | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | 15 |
| რენი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| კაენი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:14 | 14 |
| მეცი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:16 | 14 |
| პსჟ | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | 13 |
| ბასტია | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| ლანსი | 11 | 2 | 6 | 3 | 11:11 | 12 |
| სტ. ეტიენი | 11 | 1 | 6 | 4 | 11:15 | 9 |
| აიაჩო | 11 | 1 | 5 | 5 | 10:15 | 8 |
| სტრასბური | 11 | 1 | 5 | 5 | 12:19 | 8 |
| ისტრი | 11 | 0 | 6 | 5 | 6:13 | 6 |

II დივიზიონი. XIII ტური

ანჟე — რეიმსი 3:0; დიჟონი — გენიონი 0:0; შატორუ — გრენობლი 1:1; ლავალი — ნიორი 1:0; ლორიანი — კრეტეი 3:1; ტრუა — ლე მანი 2:0; ნანსი — კლერმონი 2:1; მონპელიე — ლე ავრი 3:0; სედანი — ბრესტი 0:0; *გენგამი — ამიენი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:12 | 26 |
| ბრესტი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:13 | 23 |
| გენიონი | 13 | 5 | 7 | 1 | 10:5 | 22 |
| სედანი | 13 | 6 | 4 | 3 | 12:9 | 22 |
| გრენობლი | 13 | 5 | 6 | 2 | 18:17 | 21 |
| ამიენი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:13 | 19 |
| მონპელიე | 13 | 5 | 3 | 5 | 14:11 | 18 |
| ტრუა | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| დიჟონი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:13 | 17 |
| რეიმსი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:16 | 17 |
| ანჟე | 13 | 4 | 4 | 5 | 14:13 | 16 |
| შატორუ | 13 | 3 | 7 | 3 | 13:13 | 16 |
| ლე მანი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| ლავალი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:16 | 16 |
| კლერმონი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:15 | 15 |
| ნიორი | 13 | 5 | 0 | 8 | 15:16 | 15 |
| ლორიანი | 13 | 4 | 2 | 7 | 13:20 | 14 |
| კრეტეი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:17 | 12 |
| ლე ავრი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:14 | 12 |
| გენგამი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |

## რუსეთი

პრემიერლიგა. XXVII ტური

**კრილია სოვეტოვი 2:1 მოსკოვი**

0:1 იოპი (10), 1:1 ტიხონოვი (66პ), 2:1 რონი (69)

**სპარტაკი 1:1 როტორი**

1:0 პიანოვიჩი (63), 1:1 ესიპოვი (83)

**ყუბანი 1:2 ტორპედო**

0:1 ოპერი (9), 1:1 პოპოვი (19), 1:2 სემშოვი (30)

**დინამო 0:2 სატურნი**

0:1 ლეანდრო (53), 0:2 ბისტროვი (71)

**დინამო:** ლევიცკი, ბრატიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, პოლოვინჩუკი (მურიგინი 65), **ხიზანეიშვილი**, ტოჩილინი, რომაშჩენკო, იაშინი, დიატელი (ბულიკინი 57), გიანი

მწვრთნელი ოლეგ რომანცევი

**ლოკომოტივი 0:0 რუბინი**

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი (ბილიალეტდინოვი 71), სენიკოვი, ევსეევი, გურენკო, **ასათიანი**, ფ. ლიმა, ხოხლოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი (ობიორა 60), სიჩოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

**როსტოვი 0:0 ამკარი**

**ალანია 2:1 შინიკი**

1:0 წიკლაური (16), 1:1 შირკო (23), 2:1 კასიმოვი (25)

**ზენიტი — ცსკა**

*დღეს გაიმართება*

მოსკოვის „სპარტაკმა“ ეს სეზონი კარგა ხნის წინ დაასრულა, ცხრილის შუაში გაიჭედა და უმოტივაციოდ მყოფმა ამ უქმეებზე „როტორის“ ცოდვა დაიდო. ვოლგოგრადელები ალბათ იმ პერიოდს მისტირიან, რვა-ათი წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ დაიფრინეს ევროტურნირებიდან. ახლა კი ცალი ფეხით ქვედა ლიგაში არიან და მართალია, პრემიერლიგის დასრულებამდე სამი ტური დარჩა, მაგრამ ვლადიმერ ფაიზულინის

# ალო, როლან, მოვიგეთ!

გუნდს სასწაული თუ უშველის. მოკლედ, „როტორი“ უკანმოუხედავი სამი ქულისთვის ესტუმრა „სპარტაკს“, მაგრამ თამაშის მიხედვით, ფრესაც არ იმსახურებდა. უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ „ლუჟნიკები“ მოსკოველთა სერბი მიხაილ პიანოვიჩის თავურმა გამოაცოცხლა და ვოლგისპირელები გამთანაბრებლები აღარ ჩანდნენ, მაგრამ მსაჯისგან ძღვენად პენალტი მიიღეს. კოზლოვი უფრო წაიქცა, ვიდრე წააქციეს, თუმც „როტორის“ კაპიტანი ვალერი ესიპოვი ნამუსს არ შეუწუხებია — 1:1.

„სახალხო გუნდის“ (როგორც თავიდან ეგონათ) სუპერშენაძენი არგენტინელი ფერნანდო კავენაგი კი კვლავ ამაოდ დაშვრა და კაპიკის საქმე არ გაუკეთებია. ვოლგოგრადელებზე საუბარს კი იმით მოვრჩეთ, რომ მათ სამი თვეა, ხელფასი არ აულიათ და ერთხანს „ლუჟნიკებზე“ ჩასვლასაც უარობდნენ.

„როტორის“ კვალს ადგას კრასნოდარის „ყუბანიც“, რომელმაც საგოლე მომენტებით დაბომბა „ტორპედო“, მაგრამ მაინც წააგო. თუმც ალბათ არ წააგებდა, მასპინძელთაგან ყველაზე აქტიურ კანტონისტოვს 1:1-ზე პენალტი რომ გაეტანა. ასე კი, მოსკოველთაგან ესტონელმა ოპერმა და სემშოვმა ორი ერთმანეთზე ლამაზი გოლი შეაგდეს, რითაც „ტორპედოს“ სამეულში მოხვედრის მიზერული შანსი შეუნარჩუნეს. ისიც თვალში საცემია, რომ „ყუბანის“ დაქვეითება გუნდიდან ცნობილი ბიზნესმენის, ოლეგ დერიპასკას წასვლით დაიწყო.

ალექსანდრე ფილიმონოვის ხუშტურების გარეშე არც ამ ტურმა ჩაიარა. „მოსკოვის“ მეკარემ „კრილიას“ ბრაზილიელ ფორვარდ რონის საკუთარ საგუშაგოში მოუნდომა გაბითურება, ბურთი ხელებში არ აიღო და რონიმაც ამ მომენტიდან პენალტი მოინადირა, რომელიც ანდრეი ტიხონოვმა გოლად აქცია. სამარელებმა წლევანდელ პრემიერლიგაში უკვე მეცამეტედ იხეირეს 11-მეტრიანიდან, ხოლო ორიოდე წუთში თავად რონიმაც ჩინებულად შეირგო ანდრეი კარიაკას ჩაწოდებული და თავით „დახვრიტა“ ფილიმონოვი. იქამდე კი „მოსკოვი“ იოპის გოლით წყნარად იგებდა...

„როსტოვი“ კი მასსავით ცხრილის ქვემოთ დაბუდებულ „ამკარს“ დაუზავდა და რაც გუნდების კლასია, თამაშიც და ანგარიშიც იგივე იყო... უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო „ალანიამ“, ხოლო გამარჯვების გოლი „ოქროს ალანიაში“ გამოზრდილმა მირჯალოლ კასიმოვმა საფირმო საჯარიმოთი გაიტანა. ვლადიკავკაზელები ამ მატჩშიც იური სეკინაევმა გაიყვანა მინდორზე, ხოლო როლან კურბისი ისევ საფრანგეთშია და იქიდან ტელეფონით იძლევა მითითებებს.

მდგომარეობა გაირთულა მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც უმოტივაციო „სატურნთან“ შინ 0:2 დათმო. რამენსკოელთა თამაში კვლავ არგენტინულ დუეტს (მონტენეგრობარიხო) მიჰყავდა და ორივე გოლი მათი მეცადინეობით გავიდა. ოთარ ხიზანეიშვილმა 90 წუთი დაჰყო მინდორზე, მთლიანად „დინამოს“ კი გულშემატკივრებმა უსტვინეს და ლევ იაშინი გაიხსენეს, ამათი საცოდაობით ლეგენდა-კაცი ალბათ საფლავში ტრიალებსო.

„ლოკომოტივმა“ გაუთავებლად უტრიალა ყაზანის „რუბინის“ კარს, მაგრამ გასაღები ვერაფრით მოარგო. გასატანი კი მალხაზ ასათიანსაც ჰქონდა, მაგრამ ოდნავ ააცილა. ნამატჩევს რკინიგზელთა თავკაცი იური სიომინი თავდამსხმელთა უნიათობაზე ჩიოდა, ახლა უკვე ჩვენს თავზე არ ვართ დამოკიდებული, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო.

ტურის და მთლიანად ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი დღეს სანკტ პეტერბურგშია. მესამე ადგილზე მყოფი „ზენიტი“ ლიდერ ცსკა-ს უნდა დაუხვდეს და დიდწილად სწორედ ეს ჯახი გაანაწილებს რუსულ ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოს...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 15 | 7 | 4 | 45:20 | 52 |
| ლოკომოტივი | 27 | 15 | 7 | 5 | 38:18 | 52 |
| ზენიტი | 26 | 15 | 5 | 6 | 45:28 | 50 |
| კრილია | 27 | 15 | 4 | 8 | 46:39 | 49 |
| ტორპედო | 27 | 14 | 6 | 7 | 45:31 | 48 |
| შინიკი | 27 | 11 | 8 | 8 | 28:26 | 41 |
| სატურნი | 27 | 9 | 11 | 7 | 33:25 | 38 |
| მოსკოვი | 27 | 9 | 10 | 8 | 32:30 | 37 |
| სპარტაკი | 27 | 10 | 6 | 11 | 39:39 | 36 |
| ალანია | 27 | 7 | 7 | 13 | 24:43 | 28 |
| რუბინი | 27 | 5 | 12 | 10 | 26:29 | 27 |
| ამკარი | 27 | 5 | 12 | 10 | 24:38 | 27 |
| დინამო | 27 | 6 | 8 | 13 | 26:37 | 26 |
| როსტოვი | 27 | 6 | 8 | 13 | 26:37 | 26 |
| ყუბანი | 27 | 4 | 10 | 13 | 23:39 | 22 |
| როტორი | 27 | 4 | 9 | 14 | 26:47 | 21 |



კრილია სოვეტოვი — მოსკოვი. სამარელთა გამარჯვების გოლი რონიმ (მარჯვნივ) გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელგია

### იუპილერლიგა. X ტური

**გენტი 3:1 შარლერუა**

1:0 ლოკემბო (22ს.კ.), 1:1 ბრონო (31), 2:1 კარგბო (39ს.კ.), 3:1 ბუსუფა (68)

**მონსი 0:1 ლოკერენი**

0:1 ჟუელ სანტოსი (24)

**სენტ ტრუიდენი 2:0 ბრიუსელი**

1:0 ბარატო (55), 2:0 იმშო (75)

**ვესტერლო 0:1 მუსკრონი**

0:1 მარჩინ ჟევლაკოვი (28)

**ბევერენი 5:1 სერკლ ბრიუგე**

1:0 სანოგო (18), 2:0 არუნინა (42), 2:1 პივალიევიჩი (55), 3:1 ნე (56), 4:1, 5:1 რომარიჩი (65, 75)

**ოსტენდე 2:3 ლიერსი**

0:1 ტოუა (15), 0:2 მიტუ (20), 1:2 სანტალაბი (36), 2:2 ზოკო (40), 2:3 დელორგი (49)

**ბრიუგე 2:0 ლუვიე**

1:0 ნ. ჩეპი (44), 2:0 ენგელბერტი (81)

**ანდერლეხტი 4:2 გენკი**

0:1 ენგელაარი (18), 1:1 იაშჩუკი (63), 1:2 ენგელაარი (6,), 2:2 მოკოენა (82ს.კ.), 3:2, 4:2 დინდანე (89, 90)

**ბეერსხოტი 1:0 სტანდარდი**

1:0 მესუდი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 10 | 8 | 2 | 0 | 26:4 | 26 |
| ანდერლეხტი | 10 | 8 | 0 | 2 | 24:11 | 24 |
| გენტი | 10 | 6 | 0 | 4 | 15:16 | 18 |
| ლუვიე | 10 | 5 | 2 | 3 | 16:10 | 17 |
| სტანდარდი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 |
| ლოკერენი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| შარლერუა | 10 | 5 | 1 | 4 | 13:15 | 16 |
| მუსკრონი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:9 | 15 |
| გენკი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:12 | 14 |
| ბეერსხოტი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:10 | 13 |
| ლიერსი | 10 | 4 | 1 | 5 | 15:17 | 13 |
| სერკლი | 10 | 4 | 1 | 5 | 18:25 | 13 |
| ბევერენი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:11 | 12 |
| ვესტერლო | 10 | 3 | 2 | 5 | 9:14 | 11 |
| სენტ ტრუიდენი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:16 | 9 |
| ბრიუსელი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:17 | 7 |
| მონსი | 10 | 1 | 3 | 6 | 9:16 | 6 |
| ოსტენდე | 10 | 0 | 4 | 6 | 10:21 | 4 |

### მეორე კლასი. X ტური

დესელი — პატრო 3:4; დაინცე — გეელი 1:3; ჰეუსდენი — სენტ ჟილი 2:1; ვაასლანდი — რუზელარე 2:1; ვირტონი — ვარეგემი 1:1; აალსტი — ანტვერპენი 1:2; კორტრაიკი — ეუპენი 5:0; რონსი — ვიზეტი 1:0; ტუბიცე — ვიგორი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანტვერპენი | 10 | 8 | 1 | 1 | 20:8 | 25 |
| ვარეგემი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:11 | 21 |
| გეელი | 10 | 7 | 0 | 3 | 21:12 | 21 |
| რონსი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:9 | 20 |
| ტუბიცე | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| ვაასლანდი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:10 | 17 |
| ვიგორი | 10 | 3 | 5 | 2 | 13:12 | 14 |
| ჰეუსდენი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:14 | 14 |
| პატრო | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 13 |
| დესელი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| ვირტონი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:15 | 11 |
| რუზელარე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| დაინცე | 10 | 3 | 2 | 5 | 14:23 | 11 |
| სენტ ჟილი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:12 | 9 |
| ეუპენი | 10 | 2 | 3 | 5 | 14:20 | 9 |
| აალსტი | 10 | 1 | 5 | 4 | 11:14 | 8 |
| კორტრაიკი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:18 | 8 |
| ვიზეტი | 10 | 0 | 4 | 6 | 6:15 | 4 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. X ტური

ბანიკი — სპარტა 0:2; სლავია — ოპავა 1:0; ბუდეიოვიცე — ტეპლიცე 0:1; ზლინი — მლადა ბოლესლავი 2:2; სიგმა — ბრნო 2:1; ბლშანი — სინოტი 2:0; პრჟიბრამი — დრნოვიცე 1:2. ლიბერეცი — იაბლონეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 8 | 2 | 0 | 24:8 | 26 |
| სიგმა | 10 | 7 | 1 | 2 | 16:10 | 22 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 5 | 0 | 12:6 | 20 |
| ლიბერეცი | 8 | 5 | 0 | 3 | 10:3 | 15 |
| ბანიკი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| სლავია | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | 15 |
| ბრნო | 10 | 4 | 2 | 4 | 9:12 | 14 |
| სინოტი | 10 | 3 | 4 | 3 | 5:6 | 13 |
| იაბლონეცი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| დრნოვიცე | 10 | 3 | 2 | 5 | 11:12 | 11 |
| ზლინი | 10 | 2 | 5 | 3 | 8:11 | 11 |
| ოპავა | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | 9 |
| ბლშანი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:10 | 9 |
| პრჟიბრამი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:18 | 8 |
| ბუდეიოვიცე | 10 | 1 | 3 | 6 | 5:11 | 6 |
| ბოლესლავი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:15 | 6 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. IX ტური

**პსვ ეინდჰოვენი 2:0 აიაქსი**

1:0 ი. ლი (39), 2:0 ჯ. დე იონგი (49)

**როზენდალი 0:1 ტვენტე**

0:1 კრისტენსენი (60)

**ნაიმეგენი 3:3 ბრედა**

0:1 ზონეველდი (5), 1:1 ე. ბარეტო (14), 2:1 ბუტაპარი (43), 2:2 ლურლინგი (48), 3:2 დენებოომი (59), 3:3 კორნელისე (62)

**ვიტესი 0:3 ალკმაარი**

0:1 ბუსკერმოლენი (31), 0:2 ვან გალენი (48), 0:3 კ. პერესი (51)

**ტილბურგი 4:2 გრონინგენი**

1:0 რედანი (3), 1:1 კრსტევი (10), 2:1 მატიისი (52ს.კ.), 2:2 ს. ზეედორფი (54), 3:2 ვიქტორია (77), 4:2 როიზერი (90)

**როდა 5:0 დენ ბოსხი**

1:0, 2:0, 3:0 კონე (40, 48, 64), 4:0 სერჟიო (69), 5:0 სეკუ (88)

**ფეიენოორდი 4:0 ვალვაიკი**

1:0 კასტელენი (11), 2:0 გოორი (66), 3:0 კუიტი (70), 4:0 გოორი (86)

**ჰერენვენი 2:1 უტრეხტი**

1:0, 2:0 ჰუნტელაარი (80, 83), 2:1 ლეიტოე (90)

**გრააფსხაპი 1:2 დენ ჰააგი**

0:1 ბოდე (15), 1:1 კალეჟიჩი (60), 1:2 ელ აკხაუი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 9 | 7 | 1 | 1 | 28:8 | 22 |
| პსვ | 8 | 7 | 1 | 0 | 25:5 | 22 |
| ალკმაარი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:10 | 18 |
| უტრეხტი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:12 | 16 |
| ჰერენვენი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:15 | 16 |
| აიაქსი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:13 | 15 |
| ბრედა | 9 | 4 | 2 | 3 | 18:25 | 14 |
| როდა | 9 | 4 | 1 | 4 | 18:16 | 13 |
| ტილბურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:15 | 13 |
| ნაიმეგენი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ვალვაიკი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ვიტესი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:15 | 11 |
| ტვენტე | 8 | 2 | 2 | 4 | 10:11 | 8 |
| დენ ბოსხი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:23 | 8 |
| გრონინგენი | 9 | 1 | 4 | 4 | 11:15 | 7 |
| დენ ჰააგი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | 7 |
| როზენდალი | 9 | 1 | 1 | 7 | 10:25 | 4 |
| გრააფსხაპი | 9 | 0 | 3 | 6 | 9:22 | 3 |

### II დივიზიონი. X ტური

კამბური — ჰერაკლესი 1:3; ეინდჰოვენი — ტელსტარი 0:0; ემენი — ექსელსიორი 3:2; მაასტრიხტი — სიტარდი 3:0; ოსი — იგლსი 2:0; ვოლენდამი — ჰელმონდი 0:2; ვენლო — ვეენდამი 2:2; ზვოლე — აპელდორნი 2:1; სპარტა — დორდრეხტი 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერაკლესი | 9 | 7 | 1 | 1 | 17:7 | 22 |
| ვენლო | 8 | 6 | 2 | 0 | 21:7 | 20 |
| ვოლენდამი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| ზვოლე | 10 | 5 | 4 | 1 | 16:9 | 19 |
| ჰაარლემი | 9 | 6 | 0 | 3 | 22:10 | 18 |
| დორდრეხტი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:13 | 18 |
| სპარტა | 9 | 4 | 3 | 2 | 19:16 | 15 |
| ვეენდამი | 9 | 3 | 3 | 3 | 17:13 | 12 |
| აპელდორნი | 9 | 4 | 0 | 5 | 16:17 | 12 |
| ოსი | 10 | 4 | 0 | 6 | 15:22 | 12 |
| მაასტრიხტი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 11 |
| ექსელსიორი | 10 | 3 | 1 | 6 | 17:18 | 10 |
| ტელსტარი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| სიტარდი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:16 | 9 |
| ჰელმონდი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | 9 |
| ემენი | 10 | 2 | 3 | 5 | 14:21 | 9 |
| იგლსი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| ეინდჰოვენი | 10 | 1 | 4 | 5 | 11:23 | 7 |
| კამბური | 9 | 1 | 3 | 5 | 4:16 | 6 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXV ტური

ლინი — ლილესტრიომი 1:1; ბოდიო გლიმტი — რუსენბორგი 0:1; სოგნდალი — ოდ გრენლანდი 4:2; ბრანი — ვიკინგი 1:0; ფრედრიკსტადი — ტრომსიო 1:0; ჰამ კამი — ვოლერენგა 0:1; სტაბეკი — მოლდე 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 13 | 6 | 6 | 48:33 | 45 |
| ვოლერენგა | 25 | 12 | 9 | 4 | 37:22 | 45 |
| ბრანი | 25 | 12 | 3 | 10 | 44:38 | 39 |
| ტრომსიო | 24 | 11 | 4 | 9 | 34:28 | 37 |
| ლინი | 25 | 9 | 10 | 6 | 29:27 | 37 |
| ჰამ კამი | 25 | 10 | 7 | 8 | 32:31 | 37 |
| ლილესტრიომი | 25 | 8 | 10 | 7 | 43:31 | 34 |
| ფრედრიკსტადი | 25 | 9 | 5 | 11 | 40:49 | 32 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 8 | 7 | 9 | 42:41 | 31 |
| ვიკინგი | 25 | 6 | 12 | 7 | 26:31 | 30 |
| მოლდე | 25 | 6 | 10 | 9 | 31:37 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 7 | 6 | 12 | 28:38 | 27 |
| სტაბეკი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:37 | 27 |
| სოგნდალი | 25 | 5 | 7 | 13 | 38:54 | 22 |




პსვ ეინდჰოვენი — აიაქსი. ამსტერდამელები მეორედ ჯონ დე იონგმა დაამწუხრა

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VII ტური

**ბრაგა 2:3 სეტუბალი**

0:1 ჟორჟინიუ (24). 1:1 ჟოაუ ტომაში (29), 2:1 ვენდერი (30), 2:2 მანუელ ჟოზე (53), 2:3 ჩავესი (78)

**მორეირენსე 0:0 რიუ ავე**

**სპორტინგი 2:0 ბელენენსეში**

1:0 ლიდსონი (85), 2:0 დუალა (87)

**ბოავიშტა 0:0 ეშტორილი**

**გიმარაეში 2:1 ჟილ ვისენტე**

1:0 ელპიდიუ სილვა (40), 2:0 ბ. ლეალი (45), 2:1 ჟულიო სეზარი (59)

**აკადემიკა 1:0 მარიტიმუ**

1:0 პ. ადრიანუ (23)

**ბეირა მარი 0:1 ლეირია**

0:1 ფელისიუ (50)

**ბენფიკა 2:1 ნასიონალი**

1:0 კარადასი (62), 2:0 შოკოტა (82), 2:1 ალეშანდრე (87)

**პორტუ 2:0 პენაფიელი**

1:0, 2:0 მაკკარტი (13, 24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 7 | 5 | 1 | 1 | 10:5 | 16 |
| პორტუ | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| სეტუბალი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| მარიტიმუ | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| ბრაგა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 12 |
| სპორტინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| ბოავიშტა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 1 | 3 | 12:11 | 10 |
| რიუ ავე | 7 | 1 | 6 | 0 | 6:5 | 9 |
| ნასიონალი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:11 | 9 |
| ბეირა მარი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| ლეირია | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| აკადემიკა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:9 | 7 |
| გიმარაეში | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| პენაფიელი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:16 | 7 |
| მორეირენსე | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| ეშტორილი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 1 | 0 | 6 | 7:11 | 3 |

### მეორე ლიგა. VII ტური

ფელგეირაში — ნავალი 1:2; ლეიშოეში — მაია 0:1; ოლიალენსე — ავეში 2:1; ალვერკა — ფეირენსე 1:0; შავეში — ამადორა 1:2; ესპინიუ — ფერეირა 2:2; გონდომარი — სანტა კლარა 1:1; მარკუ — პორტიმონენსე 3:2; ვარზიმი — ოვაირენსე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამადორა | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 16 |
| მაია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| მარკუ | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| ნავალი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ოლიალენსე | 7 | 4 | 1 | 2 | 9:8 | 13 |
| ავეში | 7 | 4 | 0 | 3 | 12:5 | 12 |
| ოვაირენსე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| ვარზიმი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:9 | 11 |
| პორტიმონენსე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 10 |
| ფერეირა | 7 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 |
| ლეიშოეში | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| გონდომარი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| ალვერკა | 7 | 2 | 1 | 4 | 3:6 | 7 |
| შავეში | 7 | 2 | 1 | 4 | 3:8 | 7 |
| ფელგეირაში | 7 | 1 | 3 | 3 | 3:6 | 6 |
| ესპინიუ | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| სანტა კლარა | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| ფეირენსე | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | 4 |

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. V ტური

ქსანთი — ერგოტელისი 3:0; ოფი — ირაკლისი 2:1; ხალკიდონა — ოლიმპიაკოსი 1:1; ეგალეო — აპოლონი 0:0; კერკირა — პანათინაიკოსი 2:0; პანიონიოსი — იონიკოსი 1:0; პაოკ — არისი 2:2; აეკ — კალითეა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| ქსანთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| პანათინაიკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ხალკიდონა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ეგალეო | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | 9 |
| პაოკ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ოფი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| პანიონიოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| კერკირა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| აპოლონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| კალითეა | 5 | 1 | 1 | 3 | 8:11 | 4 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 |
| არისი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | 2 |
| ერგოტელისი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:10 | 1 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. X ტური

ისთანბული — მალათია 0:2; კონია — გაზიანთეფი 2:2; სამსუნი — გენჩლერი 2:2; ტრაბზონი — გალათასარაი 0:1; დიარბაქირი — ანკარა 1:0; ქაისერი — სებათი 4:1; რიზე — დენიზლი 2:0; ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 1:4; ფენერბაჰჩე — საქარია 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 10 | 9 | 1 | 0 | 27:6 | 28 |
| გალათასარაი | 10 | 8 | 1 | 1 | 22:7 | 25 |
| ტრაბზონი | 10 | 7 | 2 | 1 | 20:7 | 23 |
| მალათია | 10 | 6 | 1 | 3 | 20:12 | 19 |
| დენიზლი | 10 | 6 | 0 | 4 | 14:13 | 18 |
| რიზე | 10 | 4 | 3 | 3 | 12:7 | 15 |
| სამსუნი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:14 | 15 |
| გაზიანთეფი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 15 |
| ბეშიქთაში | 10 | 3 | 3 | 4 | 20:15 | 12 |
| გენჩლერი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | 12 |
| ანკარა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:16 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 10 | 3 | 3 | 4 | 8:12 | 12 |
| დიარბაქირი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:14 | 12 |
| კონია | 10 | 2 | 5 | 3 | 15:21 | 11 |
| ისთანბული | 10 | 1 | 3 | 6 | 8:19 | 6 |
| ქაისერი | 10 | 1 | 2 | 7 | 10:23 | 5 |
| სებათი | 10 | 0 | 4 | 6 | 11:26 | 4 |
| საქარია | 10 | 1 | 1 | 8 | 6:21 | 4 |

## იაპონია

### ჯეი ლიგა. X ტური

გამბა — ოიტა 3:1; ივატა — ნიიგატა 3:1; კაშივა — სერეზო 1:1; ნაგოია — იჩიჰარა 0:2; კაშიმა — ურავა 2:3; ვერდი — შიმიცუ 4:0; იოკოჰამა — ტოკიო 2:1; კობე — ჰიროშიმა 2:2

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა. XII ტური

პულა — ჰაიდუკი 0:1; დინამო — ზადარი 2:1; ვარტექსი — კამენი 3:0; რიეკა — მედიმურიე 3:1; ინტერი — ზაგრები 1:0; ოსიეკი — სლავენი 1:1

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XIII ტური

ადმირა — შტურმი 0:0; პაშინგი — მატერსბურგი 4:0; ტიროლი — ზალცბურგი 3:1; გრაცერი — ბრეგენცი 3:0; რაპიდი — აუსტრია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 13 | 8 | 4 | 1 | 31:7 | 28 |
| რაპიდი | 13 | 8 | 4 | 1 | 26:11 | 28 |
| პაშინგი | 13 | 8 | 1 | 4 | 25:17 | 25 |
| გრაცერი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:11 | 25 |
| ტიროლი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:18 | 18 |
| ადმირა | 13 | 5 | 2 | 6 | 18:18 | 17 |
| ზალცბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:19 | 15 |
| მატერსბურგი | 13 | 3 | 2 | 8 | 14:25 | 11 |
| შტურმი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:17 | 9 |
| ბრეგენცი | 13 | 1 | 3 | 9 | 11:39 | 6 |

## დანია

### სუპერლიგა. XII ტური

რანდერსი — ბრონდბიუ 0:2; ოლბორგი — ჰერფიოლგე 3:0; ესბიერგი — ორჰუსი 3:1; მიდტიულანდი — ნორდსიელანდი 2:0; ოდენსე — სილკებორგი 3:0; კოპენჰაგენი — ვიბორგი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 12 | 8 | 3 | 1 | 20:7 | 27 |
| ვიბორგი | 12 | 6 | 3 | 3 | 14:10 | 21 |
| მიდტიულანდი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:16 | 20 |
| ოდენსე | 12 | 6 | 1 | 5 | 24:17 | 19 |
| ორჰუსი | 12 | 5 | 3 | 4 | 20:16 | 18 |
| ოლბორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 20:14 | 17 |
| ესბიერგი | 12 | 5 | 2 | 5 | 25:20 | 17 |
| კოპენჰაგენი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:19 | 17 |
| სილკებორგი | 12 | 4 | 1 | 7 | 21:24 | 13 |
| ჰერფიოლგე | 12 | 4 | 1 | 7 | 13:26 | 13 |
| ნორდსიელანდი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:20 | 12 |
| რანდერსი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:26 | 8 |

## პოლონეთი

### სუპერლიგა. X ტური

პოლონია — გროცლინი 1:0; პლოცკი — ოდრა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 9 | 7 | 2 | 0 | 31:4 | 23 |
| გროცლინი | 9 | 7 | 0 | 2 | 14:7 | 21 |
| ამიცა | 9 | 5 | 3 | 1 | 17:9 | 18 |
| ლეგია | 9 | 5 | 3 | 1 | 11:7 | 18 |
| კრაკოვია | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | 14 |
| პლოცკი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 14 |
| ზაგლებე | 9 | 3 | 3 | 3 | 17:18 | 12 |
| პოლონია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:15 | 11 |
| გურნიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:10 | 10 |
| ლეხი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | 10 |
| პოგონი | 9 | 3 | 1 | 5 | 15:23 | 10 |
| ოდრა | 10 | 3 | 0 | 7 | 11:15 | 9 |
| ლეჩნა | 8 | 2 | 0 | 6 | 8:18 | 6 |
| კატოვიცე | 9 | 1 | 1 | 7 | 9:26 | 4 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. X ტური

დებრეცენი — უიპეშტი 1:2; ფერენცვაროში — ტატაბანია 5:0; დიოშდიორი — მტკ 2:2; ჰონვედი — ნირედიჰაზა 3:2; ზალაეგერსეგი — ვაშაში 2:0; პეჩი — შოპრონი 2:3; ვიდეოტონი — ბეკეშჩაბა 5:0; დიორეტო — კაპოშვარი 0:1

# სლოვენიაში ვარ და სხვაგან არ ძალმიძს

## მარჯოიშვილი მესაზღვრეებს ემალება



*ადრიატიკის ლიგაში მეშვიდე ტური მიილია და ჩვენებურთა „ოლიმპია" ჯერაც დაუმარცხებელია. ამაში ლომის წილი უდევს ვლადიმერ ბოისას, თუმც ლიუბლიანელთა ახალწვეული მანუჩარ მარჯოიშვილიც არა უსაქმოდ. „მანო" თამაშიდან თამაშამდე უმატებს და აკი გუშინწინ ხორვატიულ „სპლიტს" მისთვის „ოლიმპიაში" სარეკორდო 9 ქულა უთავაზა. პროგრესი პროგრესად, მაგრამ მარჯოიშვილს ერთი პრობლემა შექმნა – მის სლოვენიურ ვიზას ვადა გაუვიდა და ქვეყანას ვერ ტოვებს იმის შიშით, რომ უკან აღარ შეუშვებენ. ამ მიზეზით იგი წინა ხუთშაბათს ოლიმპიელებს ვერ გაჰყვა ბოსნიაში, სადაც „ოლიმპიამ" იქაური „შიროკი" დააჩოქა...*

— 19 ოქტომბერს ჩემს სლოვენიურ ვიზას ვადა გაუვიდა და ქვეყნის გარეთ ვერ გავდივარ. აქ პრობლემა ნაკლებად მაქვს, მაგრამ საზღვარი რომ გადავკვეთო, უკან აღარ შემომიშვებენ. ამიტომაც გამიცდა ადრიატიკის ლიგის ბოლოსწინა ტური, „ოლიმპიამ" ბოსნიაში რომ ითამაშა „შიროკის" წინააღმდეგ.

**— სავიზო პრობლემა რატომ ვერ მოგიგვარეს აქამდე?**

— ხანგრძლივი ვიზის მისაღებად მრავალი საბუთია საჭირო. მე თითქმის ყველა დოკუმენტი წესრიგში მაქვს, მხოლოდ იმის დამადასტურებელი საბუთი არაა, რომ საქართველოში ნასამართლები არ ვყოფილვარ. აქამდე ორჯერ გამიკეთეს ერთთვიანი ვიზა, ახლა კი ერთწლიანს ველოდები.

**— მართლა ნასამართლევი ხომ არ ხარ, რატომ ვერ აკეთებ ხანგრძლივ ვიზას?**

— არა, რის ნასამართლევი, უბრალოდ, საბუთების გაგზავნა-გამოგზავნას დრო სჭირდება და მეც ველოდები. საქმეს ისიც აჭიანურებს, რომ სლოვენიაში საქართველოს საელჩო არ არის. ჩემი საბუთები ჯერ ავსტრიაში გაიგზავნა, შემდეგ თბილისში, მანდ კი, ხომ იცით, საქართველოა და გარკვეული დრო სჭირდება საჭირო დოკუმენტის აღებას. მერე კი აქ უნდა გამოაგზავნონ და საბოლოოდ ხორვატიაში ზაგრებში უნდა ავიღო ეს საბუთი. მოკლედ, ერთი ამბავი სჭირდება, მანამდე კი სლოვენიის გარეთ ვერ გავდივარ.

**— რადგან სლოვენიის გარეთ ვერ გადიხარ, საშინაო მატჩებში გაორმაგებული ძალით ცდილობ თავის გამოჩენას? ბოლო მატჩი ცუდად არ გითამაშია...**

— ეგებ მაგის ბრალიც იყოს, ბოლო მატჩში კარგად რომ ვითამაშე. თუმც მთლად ისე ვერ ვიყოჩაღე, როგორც ვოვა ბოისამ, მაგრამ თამაშს ხელი მაინც დავატყვე. მე ხორვატთა ყველაზე საშიში მოთამაშის დამირ რანჩიჩის დაჭერა მევალებოდა და სანამ მოედანზე ვიყავი, მაქსიმალურად ვცდილობდი ამის გაკეთებას.

**— დაცვაზე რატომ ამახვილებ ყურადღებას, შეტევაშიც არანაკლებ შედეგიანი იყავი, 16 წუთში 9 ქულა ჩინებული შედეგია...**

— ყურადღებას არ ვამახვილებ, გეთანხმები, რომ შეტევაში უფრო შედეგიანი ვიყავი. რანჩიჩს რამდენჯერაც შევეხე, იმდენი ჯარიმა მომცეს და ხუთი პერსონალურის გამო ნაადრევად დავტოვე მოედანი, თორემ, ისეთ განწყობაზე ვიყავი, შედარებით მეტ ქულას მოვაგროვებდი.

**— ეს იყო შენი ყველაზე უხვქულიანი მატჩი „ოლიმპიაში" და ალბათ მწვრთნელიც გეტყოდა რამეს...**

— მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა ჩემით, ისევე როგორც მთელი გუნდის თამაშით. მეტად საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ და ცხრილის სათავეში გავმაგრდით.

**— ქულები კარგი, მაგრამ მოხსნები საერთოდ არ გქონია...**

— მოხსნები კი არა, ქულების გარდა სტატისტიკური მაჩვენებლების ყველა გრაფაში ნული მეწერა. მოხსნებზე არ ვდარდობ, ეს არ შედიოდა ჩემს კომპეტენციაში, მაგრამ ჩაჭრა-პასების უქონლობა ძალიან მაფიქრებს.

**— მოხსნებზე რატომ არ ნაღვლობ?**

— „ოლიმპიაში" ორ ნომერს არ ევალება ფარქვეშ შესვლა გარდა იმ ეპიზოდისა, თუ გარღვევაზე გამთამაშებელი არ შევა. მე ვაზღვევ პლეიმეიკერს და თუ შემთხვევამ არ მიკარნახა, ფარქვეშ არ შევდივარ.

**— მოკლედ, თანდათან ეგუები „ოლიმპიას", ყოველ თამაშში შედეგიანობას აუმჯობესებ...**

— ბედს არ ვუჩივი, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ეგაა, ამ სავიზო პრობლემების გამო ქალაქში თამამად ვერ გავდივარ. პოლიციამ რომ დამიჭიროს, შარში გავეხვევი. ამიტომაც სახლი და საკალათბურთო დარბაზი, სხვაგან არც ვიხედები.

**— ბოლოს ბოისაზე მინდა გკითხო: თქვი, მასავით ყოჩაღად ვერ ვითამაშეო და ასეთი რა ქნა ვოვამ?**

— რა ქნა და 29 ქულა გააკეთა. „სპლიტთან" მატჩი პირადად მან მოიგო. ისედაც მთელი თამაში ხომ აავსო ხორვატების კალათი, ბოლო წამებზე უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და გამარჯვებულის ვინაობაც გაარკვია. ვოვა მაგრად თამაშობს ამ სეზონში. მას „ოლიმპიაში" ბადალი არ ჰყავს.

**ირაკლი პერტაია**

# ფაჩულიას გაძურიჩი გამოუჯანმრთელდა



**ბოლო** საჩამოფენო მატჩებში ნაყოჩაღებმა ზაზა ფაჩულიამ მორიგი შეხვედრა გამართა მილუოკილი „ხარების" შემადგენლობაში და თუმც უწინდელივით შედეგიანი არ ყოფილა, უკმაყოფილო მაინც არ უნდა დარჩენილიყო.

„მილუოკი" დალასში ესტუმრა „მავერიკსს" და ფიცხელ ბრძოლაში ორი ქულით დამარცხდა. ქართველი ცენტრი თავიდანვე არ გასულა მოედანზე, რაკი მილუოკელთა გამოცდილი, თუმც სხვა მაღლებივით ხუთეულში ადგილის მოსაპოვებლად მებრძოლი დან გაძურიჩი გამოჯანმრთელდა და „ბაქსის" მწვრთნელმა ტერი პორტერმაც ახლა მას მისცა თავის გამოჩენის შანსი.

მატჩის დაწყებამდე პორტერმა თქვა, გაძურიჩმა მუხლის მძიმე ტრავმა გადაიტანა, კარგა ხანია, არ უვარჯიშია და მინდა, ვნახო, როგორ ფორმაშიაო. მწვრთნელმა სათამაშო დროის ოდენობაც მოუნიშნა გაძურიჩს, 20-25 წუთს ვათამაშებო. პორტერმა სიტყვა შეასრულა და დანი 20 წუთით გაიყვანა მოედანზე, თუმც მისი თამაშით, მიუხედავად გაძურიჩის სიტყვიერი შექებისა, მთლად კმაყოფილი არ უნდა დარჩენილიყო.

20 წუთში გაძურიჩმა 6 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა, თუმც სროლათა პროცენტული მაჩვენებელი საშინელი ჰქონდა — ცხრიდან ორი ორქულიანი, ხოლო ექვსიდან ორი საჯარიმო ჩააგდო.

„გაძურიჩი დიდი ხანი უქმობდა და პრაქტიკის უქონლობის კვალობაზე მას ცუდად არ უთამაშია. დანმა იმდენი მოახერხა, რომ ხუთეულის კანდიდატად განვიხილოთ, თუმც მას სერიოზული კონკურენტებიც ჰყავს ცენტრის პოზიციაზე" — განაცხადა ტერი პორტერმა.

პორტერის სათქმელი „ჯორნალ სენტინელის" ჟურნალისტებმა გააგრძელეს და დან გაძურიჩის კონკურენტებად უპირველესად ზაზა ფაჩულია, მერე კი პუერტორიკოელი დანიელ სანტიაგო დაასახელეს. ზენდონ ჰამილტონიც ჩაებმებოდა ცენტრების დავაში, მაგრამ მან ცოტა ხნის წინ სერიოზულად დაიზიანა ფეხი და მოედანს კარგა ხნით დაშორდაო, დასძინეს მილუოკელმა ჟურნალისტებმა.

საკუთრივ ფაჩულიამ გაძურიჩივით 20 წუთი ითამაშა და მასავით 8 მოხსნა გააზერხა. ქართველი ცენტრი კონკურენტს ოდენ ერთი ქულით ჩამორჩა (5 ქულა მოუგროვდა), თუმც ეს სროლათა ოდნავ უკეთესი პროცენტული მაჩვენებლის შედეგად მოახერხა.

სეზონის გახსნამდე არც აღარაფერი დარჩა და ქართველ ცენტრს თანაამპლუელთა შორის არავისზე ნაკლები შანსი არა აქვს ხუთეულში დასამკვიდრებლად.

ამ უქმეებზე ითამაშეს ნბა-ს დანარჩენი ქართველების გუნდებმაც, მაგრამ რად გინდა, ტრავმების გამო დენვერელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი და პორტლენდელი ვლადიმერ სტეფანია სათადარიგო სკამიდან ისევ არ წამომდგარან.

**ირაკლი პერტაია**



ზაზა ფაჩულიას კიდევ ერთი კონკურენტი, დან გაძურიჩი გამოუჩნდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს XV ჩემპიონატი

### პირველი წრე. „ბ“ ქვეჯგუფი

### 23 ოქტომბერი. სტუ-ს დარბაზი

**ჭაბუკები 23:22 სამტრედია**

**ჭაბუკები:** კუპატაძე, პაპავა, მსხვილიძე (გაიტანა 7 გოლი), მელქოშვილი (5), ჯორბენაძე (3), ჯოხარიძე (3), ი. ტორონჯაძე (2), ზაქარიაშვილი (2), ხომერიკი (1), გ. ჩიქოვანი, ი. ჩიქოვანი, ზაალიშვილი, გ. ტორონჯაძე, კაიშაური
**სამტრედია:** კიკნაძე, ბერეკაშვილი, ჯოჯუა (11), ქავზინაძე (5), ჯულაყიძე (4), ხელისუფალი (1), კარაკაშიანი (1), ჭანტურია, ლომსაძე, ხვიჩია, ხარებავა, მოწყობილი, დუნდუა, ნიკურაძე
*მსაჯები:* ელენე არაბული და გიორგი ბროლაძე

**ქუთაისი 40:36 საუ-მამული**

**ქუთაისი:** ხინგავა, ნიქაბაძე, ბოყოჩაძე (16), გაბედავა (7), გობეჯიშვილი (5), ცერცვაძე (4), კუჭუხიძე (3), გოგონაძე (2), მინაძე (2), მამაცაშვილი (1), დოლაკიძე, მამასახლისი, აბულაძე, შარაშენიძე
**საუ-მამული:** რობაქიძე, წივწივაძე (11), კობახიძე (11), ჭელიძე (6), ლალანიძე (3), მაისურაძე (3), სიხარულიძე (2), ხუციშვილი, შონია, გილაშვილი, ბერიკაშვლი, ხონელიძე
*მსაჯები:* მერაბ მეტრეველი და ვახტანგ ბერიაშვილი

### 24 ოქტომბერი. ასა-ს დარბაზი

**საუ-მამული 53:24 სამტრედია**

**საუ-მამული:** რობაქიძე, ხუციშვილი (12), ჭელიძე (10), წივწივაძე (8), კობახიძე (8), შონია (7), სიხარულიძე (4), მაისურაძე (3), გილაშვილი (1), ლალანიძე, ხონელიძე, ბერიკაშვილი
**სამტრედია:** კიკნაძე, ბერეკაშვილი, დუნდუა (7), ჯოჯუა (6), ლომსაძე (3), ქავზინაძე (2), კარაკაშიანი (2), ჯულაყიძე (2), ხარებავა (1), ნიკურაძე (1), ხვიჩია, მოწყობილი, დუნდუა, ხელისუფალი
*მსაჯები:* მერაბ მეტრეველი და ვახტანგ ბერიაშვილი

**ჭაბუკები 30:26 ბათუმი**

**ჭაბუკები:** კუპატაძე, პაპავა, მსხვილიძე (9), ჯორბენაძე (7), მელქოშვილი (7), ზაქარიაშვილი (3), ხომერიკი (2), ზაალიშვილი (1), ჯოხარიძე (1), ი. ტორონჯაძე, გ. ტორონჯაძე, გ. ჩიქოვანი, ი. ჩიქოვანი, კაიშაური
**ბათუმი:** მელაძე, ურუშაძე (11), ზ. მეხრიშვილი (8), სიხარულიძე (3), გიორგაძე (1), დავითაძე (1), ი. წიტაიშვილი (1), ვარშანიძე (1), ნ. მეხრიშვილი, გ. წიტაიშვილი, კეკელიძე, კონცელიძე, კაცაძე
*მსაჯები:* ელენე არაბული და გიორგი ბროლაძე



# ქუთაისს მამულიც ვერ მოერია

**შაბათს** ტურის მთავარი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ წაუგებლები — „ქუთაისი“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“.

ხუთიოდე თვის წინ, მე-14 ეროვნულ პირველობაზე ამ გუნდების ორივე შეხვედრა ვიცეჩემპიონმა „საუ-მამულმა“ მოიგო, თუმც უმცირესი სხვაობით — 32:31 და 39:36. ამჯერადაც თავიდან ბოლომდე დაძაბული და ემოციური ბრძოლა იყო, ოღონდ, რაც მთავარია, ემოცია ზღვარს არ გადასცდენია.

მშვენიერი თამაში გამოვიდა, ტემპიანი და საკმაოდ მაღალი საშემსრულებლო დონით. საბოლოო შედეგი, ცხადია, უმთავრესად დამოკიდებული იქნებოდა მეტოქეთა ლიდერების — ალექსანდრე ბოყოჩაძის და გიორგი წივწივაძის შედეგიანობაზე.

დასაწყისი მამულელების იყო, სამ წუთში სამი უპასუხო გაიტანეს და სამბურთიან უპირატესობას კიდევ ათი წუთი ინარჩუნებდნენ — 8:5. მერე ქუთათურთა დრო დადგა — ბოყოჩაძის და გუნდის კაპიტან დავით გობეჯიშვილის ზუსტი ტყორცნებით მათ შუა ტაიმში ანგარიში გაათანაბრეს და იქვე წინაც გავიდნენ — 10:9.

წივწივაძემ ერთ წუთში კი გაქვითა, მაგრამ „ბოყოჩა“ დაიქოქა და მეოცე წუთზე „ქუთაისი“ უკვე ოთხი ბურთით იგებდა — 14:10. ტაიმის მიწურულს „მამულმა“ წივწივაძის და გიორგი ჭელიძის მცდელობით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 19:20.

შესვენების შემდეგ კარგა ხანს თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. საგრძნობი იყო, რომ ბიჭები დაიღალნენ და ტემპმა და სიზუსტემ იკლო. უფრო ძალისმიერი თამაში წავიდა და ქუთაისელებმა ამაშიც არ დაუდეს მეტოქეს ტოლი, საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე ორი ბურთით გავიდნენ წინ და ბოლომდე აღარც დაუთმიათ უპირატესობა.

ბოყოჩაძემ მიუტევებლად ბევრი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, თუმც მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური დარაჯი დაუყენეს, მაინც ბლომად გაიტანა და ლომის წილიც დაიდო თავისი გუნდის დამსახურებულ გამარჯვებაში.

ამრიგად, რიონისპირელებმა ტურის ოთხივე მატჩი დამაჯერებლად მოიგეს და სატურნირო ცხრილის სათავეშიც დადგნენ.

სნაიპერთა დავაში 51 გოლით ბოყოჩაძეა ყველაზე წინ. წივწივაძე მას შვიდით ჩამორჩება, ხოლო მესამეა ბათუმელი ზურაბ ურუშაძე (38).

ხვალ ბრძოლაში ჩაებმება „ა“ ქვეჯგუფის ხუთეული — საქართველს 14-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალა“, ხელბურთის კლუბი „თბილისი“, „თელავი“ და „გორი“. თამაშები თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში გაიმართება.

**გია ახალაძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 4 | 0 | 0 | 140:106 | 8 |
| საუ-მამული | 3 | 0 | 1 | 177:110 | 6 |
| ჭაბუკები | 2 | 0 | 2 | 94:121 | 4 |
| ბათუმი | 0 | 1 | 3 | 106:135 | 1 |
| სამტრედია | 0 | 1 | 3 | 99:144 | 1 |



სნაიპერთა ტრადიციული ლიდერი ალექსანდრე ბოყოჩაძე





მაია ლომინეიშვილი

# გახსოვდეთ ქალები!

ესპანეთის პალმებში, ახლა კი საჭადრაკო დაფებშიც ჩაფლულ მალიორკაში ოლიმპიადამ ეკვატორი უკვე გადალახა. შვიდი ტურის შემდეგ ქართველ ქალ-ვაჟებს საჩემპიონო ამბიცია ვერ შემორჩათ, მაგრამ ვერც ტურნირის აშკარად ჩაგდებას დავწამებთ. მაინც მაქსიმალისტები ვართ და ძველი დრო, ქალთა ტრიუმფი რომ გვახსოვს, მალიორკულ მსვლელობას ამიტომაც ვაფასებთ უარყოფითად.

არადა, ოლიმპიადის მეორე ნახევარი შედარებით უკეთ დავიწყეთ. თვალშისაცემი ისაა, რომ შაბათს მე-8 ტურში პირველად მოხდა, რომ ქართველებმა მათზე მაღალრეიტინგიან მეტოქეს მოუგეს. ჩვენმა ვაჟებმა იან ტიმანითა და ლოკ ვან ველით თავმომწონე ჰოლანდიელებს (რეიტინგში მე-8) 2,5 ქულა აართვეს. ქართველთა ლიდერმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ვან ველის ყაიმი ეთამაშა, ასევე მოიქცნენ გიორგი ყაჭეიშვილი სერგეი ტირიაკოვთან და ზვიად იზორია ტიმანთან, ხოლო გამარჯვება თამაზ გელაშვილმა მოგვიტანა, რომელმაც ერიკ ვან დელ დოლი 43-ე სვლაზე დააშამათა.

ასევე ერთქულიანი სხვაობით იძალეს ჩვენმა მანდილოსნებმაც. ბოლო ტურებში მოპოვებული მწირი მონაგარის ფონზე, აზერბაიჯანთან 2:1 მოგებაც არ უნდა იყოს ურიგო. მაია ჩიბურდანიძემ ზეინაბ მამედიაროვას აშლევინა დაფა, ხოლო ლელა ჯავახიშვილი და მაია ლომინეიშვილი ყაიმებს დასჯერდნენ — შესაბამისად, ლელა ფირუზა ვულიხანდისთან, მაია კი მეჰრიბან შუქუროვასთან.

გუშინ ჩვენმა ვაჟებმა უკულმა შეაბრუნეს საქმე, ფრანგებთან (12) სამ დაფაზე ყაიმზე შეუთანხმდნენ, ჰოლანდიელებთან მოგებული გელაშვილი კი დაგვიმარცხა. შედეგად, ქართველებს 21,5 ქულა მოუგროვდათ და მე-9-15 ადგილებს იყოფენ, ხოლო ლიდერი კვლავ უკრაინაა, რომელმაც სომხებთან ტოლ-სწორად ითამაშა — 2:2. უკრაინას 27 ქულა აქვს და მეორეადგილოსან რუსეთს მთელი 3 ქულით უსწრებს.

რაც შეეხებათ ქალებს, მათ გუშინაც 2:1 იმარჯვეს, მაგრამ სუსტ ისრაელთან უფრო მეტი ეკადრებოდათ. მოგების გემო გაიხსენა მაია ლომინეიშვილმა, რომელმაც პირველ ტურებში შთამბეჭდავად ვერ ითამაშა და ძირითად სამეულში ხშირად ველარ ხვდებოდა. ჩვენებმა 16,5 ქულა მოაქუჩეს და სამეულში შესვლის შანსი შეინარჩუნეს, ჩემპიონობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია — ჩინეთმა ლიტვა 3:0 გაანადგურა და 23,5 ქულით გაინავარდა.

**ილია ნანობაშვილი**

**ვაჟები. IX ტური**

**საქართველო 1,5:2,5 საფრანგეთი**

გიორგი ყაჭეიშვილი — ჟოელ ლოტიე 0,5:0,5
ზვიად იზორია — ლორენ ფრესინეტი 0,5:0,5
ბაადურ ქობავა — იგორ-ალექსანდრ ნატაფი 0,5:0,5
თამაზ გელაშვილი — ჟან მარკ დეგრიუ 0:1

**ქალები. IX ტური**

**საქართველო 2:1 ისრაელი**

მაია ჩიბურდანიძე — ანგელა ბორშუკი 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე — ბელა ილია 0,5:0,5
მაია ლომინეიშვილი — ოლგა ვასილიევი 1:0



## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი

**VIII ტური**

**აკადემია 33:24 ლოკომოტივი**
**აია 10:13 ლელო**
**ყოჩები — დათვები**
*12:19-ზე შეწყდა ჩხუბის გამო*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 8 | 6 | 1 | 1 | 13 |
| აკადემია | 5 | 4 | 1 | 0 | 9 |
| დათვები | 6 | 4 | 0 | 2 | 8 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 0 | 5 | 6 |
| ყოჩები | 6 | 2 | 0 | 4 | 4 |
| აია | 7 | 0 | 0 | 7 | 0 |

# შიში შეიქმს უფულობას?

## რუსეთი თბილისში ჩამოსვლას უარობს

*ათიოდ დღეში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის. ბეგი დარჩიას გაწვრთნილმა მსოფლიოს ჩემპიონმა გუნდმა ოლიმპიური უიღბლობის შემდეგ თავისი ნამდვილი ძალა მსოფლიოს თასზე უნდა დაამტკიცოს. ტურნირს 6-7 ნოემბერს სპორტის სასახლე უმასპინძლებს, რაც ჩვენებურთათვის, თავისთავად, დამატებითი სტიმული იქნება*



ბეგი დარჩია

**შარშანდელი** მსოფლიოს თასი ყაზახეთის დედაქალაქ ალმა ათაში გათამაშდა და დარჩიას შვიდეული ოდენ მესამე ადგილს დასჯერდა, რის მიზეზადაც ამ სპორტისთვის დამახასიათებელი არაობიექტური მსაჯობა შეიძლება ჩაითვალოს. ქვეჯგუფის პირველობისთვის გადამწყვეტ შეხვედრაში რუსებმა და არბიტრებმა ერთად მოგვიგეს 4:3 და ფინალის საგზურიც ირგუნეს.

მეზობლებისთვის საკადრისი პასუხის გაცემის შანსი სამწუხაროდ ამ მსოფლიოს თასზე ვერაფრით მოხერხდება. რუსეთის ნაკრებმა თბილისში ჩამოსვლა იუარა. მიზეზად კი უსახსრობა დაასახელა.

რუსების ძლიერი გუნდის არყოფნა თბილისურ ტურნირს ალბათ მაინც არ მოაკლებს სანახაობრიობას. მათ გარდა ყველა უძლიერესი ნაკრები თანხმაა სპორტის სასახლის ხალიჩაზე გავიდეს, თუმც მონაწილე ექვსეულის ორი წევრი ჯერაც უცნობია. საქართველოს, ბელარუსის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ნაკრებებს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია უახლოეს დღეებში ორსაც მიამატებს. სავარუდოდ ეგვიპტესა და აზერბაიჯანს.

ეგვიპტელთა ჩამოსვლის შემთხვევაში რამაზ ნოზაძისა და ათენში მისი მძლეველი დევკაცის ქარიმ იბრაჰიმის დაპირისპირებას მაინც ვერ ვიხილავთ. არაბი ოლიმპიური ჩემპიონი ავტოკატასტროფის შემდეგ დარბაზს ჯერაც არ დაბრუნებია.

საქართველოს ნაკრები სამსოფიოსთასო შეკრებას ვაკის საჭიდაო დარბაზში გაფართოებული შემადგენლობით გადის. საბოლოო შემადგენლობას კი ბეგი დარჩია ტურნირამდე ერთი კვირით ადრე დაასახელებს. პრინციპში, დასზუსტებელი მხოლოდ ორი წონაა — 66 და 74 კილოგრამებში ომარ ბაკურიძესა და ბადრი ხასაიას მხარს ისინი დაუმშვენებენ, ვინც ამ ერთ კვირაში ყველაზე მეტად იყოჩაღებენ. ცნობისთვის, ყველა გუნდის განაცხადში თოთხმეტ-თოთხმეტი მოჭიდავე იქნება და მწვრთნელებს სასურველის არჩევა ზედ შეხვედრების წინ შეეძლებათ.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელისგანვე შევიტყვეთ, რომ მსოფლიოს თასი ძველი წესებით ჩატარდება, ხოლო უკვე შემოღებული და დამტკიცებული სიახლეები მომავალი წლიდან ამოქმედდება.

საორგანიზაციო საკითხების დასაზუსტებლად ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს მივმართეთ:

„მსოფლიოს თასის სამასპინძლოდ მუშაობა უკვე დაწყებულია. საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციას თავად პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი უძღვება. ...

„მსოფლიოს თასის სამასპინძლოდ მუშაობა უკვე დაწყებულია. საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციას თავად პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი უძელმძღვანელებს და სასურველია, ორგანიზება უმაღლეს დონეზე იყოს. გულშემატკივრის მოსაზიდად კი ბილეთი მხოლოდ ერთი ლარი ეღირება. იმედია ტრიბუნები შეივსება და თასი საქართველოში დარჩება."

ბოლოს შეჯიბრის ფორმატზეც: ექვს ნაკრებს კენჭისყრა ორ სამგუნდიან ქვეჯგუფად გაჰყოფს. გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაეჭიდებიან, ხოლო მეორეადგილოსნები მესამე პრიზიორს გაარკვევენ. და კიდევ, 7 ნოემბერს, ფინალური ბრძოლების დაწყებამდე, ტრადიციული ქართული ჭიდაობის ფალავნობა გათამაშდება. მასში მონაწილეობას მხოლოდ ქართველი მოჭიდავეები მიიღებენ. ჩემპიონი კი 3 ათასი დოლარით შეივსებს ჯიბეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 55კგ | ირაკლი ჭოჭუა<br>პაატა ბიწაძე |
| 60კგ | ლაშა ლომაძე<br>დათო ბედინაძე |
| 66კგ | ომარ ბაკურიძე |
| 74კგ | ბადრი ხასაია |
| 84კგ | მუხრან ვახტანგაძე<br>ლადო გეგეშიძე |
| 96კგ | რამაზ ნოზაძე<br>გივი მორჩილაძე |
| მძიმე | მირიან გიორგაძე<br>გიორგი ჯობავა |

ველორბოლა

# რუსებს დოპინგი სწამთ, ანალიზი აკვირვებთ

ამერიკელი ველომრბოლის ტაილერ ჰამილტონის გარშემო ატეხილ სკანდალზე ალბათ მანამდეც გსმენიათ. ამ კაცმა ათენის ოლიმპიადაზე ერთეულთა შორის ოქროს მედალი მოიხვეჭა, მაგრამ დოპინგ-ტესტიდან სახელეწილი დაბრუნდა. ჰამილტონის ორგანიზმში სისხლის ზედმეტი სიწითლე, ანუ ჰემოტრანსკუზია აღმოაჩინეს, თუმც ეს აჩვენა A ტესტმა. განმეორებით ანალიზში კი ამერიკელს ვერაფერი უპოვეს.

ამ ამბის შემხედვარე, რუსები დატრიალდნენ — ჰამილტონს ოლიმპიური ოქრო უნდა ჩამოერთვას და რბოლში მეორე ადგილზე გასულ ვიაჩესლავ ეკიმოვს უნდა გადაეცესო. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, სოკ-ი ასე იოლად რა ჭრის და კერავს — მედლის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ორივე ტესტი დაადასტურებს ეჭვებს. ოქრო კი შეუნარჩუნდა, მაგრამ ქარიშხალი საბოლოოდ ჯერ არ ჩამცხრალა. საქმე ისაა, რომ რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა შვეიცარიულ ლოზანაში გააგზავნა აპელაცია, ამერიკელის დოპინგ-ტესტები საფუძვლიანად შეამოწმეთო.

ტაილერი კი ნერვსაც არ იტოკებს და აცხადებს, რომ თავის უდანაშაულობას იანვარში გასამართი აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე დაამტკიცებს. ჰამილტონმა „დენვერ პოსტსაც" უთხრა, ჩემი ადვოკატები გამოამზეურებენ, თუ როგორ „არასწორად" ამიღეს ანალიზებიო.

**ილია ნანობაშვილი**

ჩოგბურთი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიმლეიტონიანი დასრულებულა

**ფუმფულა** ბელგიელი ქალმეჩოგნის კიმ კლაისტერსის პირად საიტზე დადარაჯებული მკითხველი იმ დღეს საჩოგბურთო თემისთვის ერთობ მნიშვნელოვან ამბავს ამოიკითხავდა. თურმე ნუ იტყვით და 21 წლის კიმსა და მასზე ორი წლით უფროს კისკას ოზზიჭ ლეიტონ ჰიუიტს თავიანთი ნიშნობისთვის — სათებერვლო ჯვრისწერის ნაცვლად — საოქტომბრე ჯვარი დაუსვამთ და მშვიდობიანად გაყრილან. თანაც ეს ისე გაუკეთებიათ, რომ ამაზე ზედმეტი ბაზარი-ვაგზალი აღარ სურთ და გვთხოვენ, მაინცდამაინც ნურც თქვენ შეგვიიმასგვიზამთო.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს ცუგრუმელები ერთმანეთს 2000 წლიდან ჰყვარობდნენ და შარშან დეკემბერში, სიდნეის სანაპიროსთან ნავით რომანტიკული გასეირნების შემდეგ დაინიშნენ კიდეც. ქორწილი — აკი ზემოთაც ითქვა — თებერვალში უნდა ჭმულიყო, მაგრამ ჩვენთვის და სხვებისთვისაც გაურკვეველი მიზეზების გამო ამ ამბიდან არაფერი გამოვიდა. ასე რომ, თუკი საიმდღეოდ ქორწილში ქეიფი გქონდათ დაგეგმილი, აჯობებს შემეხმიანოთ და დაუგვირგვინებელი სიყვარულისა სადმე ჩვენებურ დუქანში ჩავლლიოთ.

ისე კი, როგორც ავსტრალიელი ჩოგბურთელყოფილი ჯონ ალექსანდერი ამბობს, ჩოგნაობის ოზ ქომაგებს კიმლეიტონიანის ასე ვაგლახად გასრულებამ გული დასწყვიტათ, რაკიღა კიმიც ისევე ჰალალად შეჰყვარებოდათ, როგორც მათიანი ლეიტონი. „იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ერთმანეთს დროებით დაეუბრნენ — დასძენს ალექსანდერი — და, თუკი ეს დროებითი არ არის, მაშინ ორივეს თავ-თავიანთ გზაზე გაუმარჯოს."

ალავერდი თქვენთანაა, გულისხმიერო და გულდაწყვეტილო მკითხველებო.




REUTERS მადრიდი

მადრიდში გაჩემპიონებული მარატ საფინი

**მასტერსის სერია** მადრიდი

ხელოვნური ბალახი. საპრიზო 2,425 მილიონი€

**მეოთხედფინალი**

ანდრე აგასი (2, აშშ) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:2; მარატ საფინი (3, რუსეთი) — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:4; დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) — ტაილორ დენტი (აშშ) 7:6 (7:4), 6:3; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — იოახიმ იოჰანსონი (77, შვედეთი) 7:6 (7:2), 6:7 (1:7), 7:6 (7:3)

**ნახევარფინალი**

საფინი — აგასი 6:3, 7:6 (7:4); ნალბანდიანი — ლიუბიჩიჩი 6:4, 6:4

**ფინალი**

საფინი — ნალბანდიანი 6:2, 6:4, 6:3

**SWISSCOM CHALLENGE**

ციურიხი. მაგარსაფარი. საპრიზო 1,3 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) — აი სუგიამა (9, იაპონია) 6:1, 5:7, 7:5; მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (7, აშშ) 6:3, 6:4; ალიშა მოლიკი (ავსტრალია) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 6:3, 6:1; პატი შნიდერი (10, შვეიცარია) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 2:6, 6:3, 6:4

**ნახევარფინალი**

შარაპოვა — დემენტიევა 4:6, 6:2, 6:3; მოლიკი — შნიდერი 4:6, 6:1, 6:4

**ფინალი**

მოლიკი — შარაპოვა 4:6, 6:2, 6:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთვრამეტე ეტაპი

# სეზონი ხუანმა დახურა

**მეფორმულეთა** ჩემპიონატი პირველად დასრულდა ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშებით. ეს სამხრეთამერიკული ეტაპი ტრადიციულად, მარტ-აპრილში იმართებოდა, მაგრამ შარშანდელი თავსხმის შემდეგ, რამაც კინაღამ შეიწირა ესპანელ ფერნანდო ალონსოს სიცოცხლე და მანამდეც არაერთი ქარაშოტის გამო, ოქტომბერში გადმოიტანეს უკეთესი ამინდის იმედით. ცვლილებამ ნაწილობრივ გაამართლა, უქმეებზე სან პაულუში შედარებით სიმშრალე იყო.

სეზონის დასკვნით რბოლაში ბევრიც არაფერი იყო გასარკვევი — მხოლოდ გუნდურ, ანუ კონსტრუქტორთა თასზე მეორე პრიზიორის ვინაობა. თანაც, ეს ამბავიც პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჩანდა. BAR-ი 16 ქულით უსწრებდა „რენოს", რომელსაც ვიცეჩემპიონობას მხოლოდ დუბლი (პირველ-მეორე ადგილები) მოუტანდა, რაც ფანტასტიკის სფეროდან იყო.

ცხადია, რენოელებმა სასწაული ვერ მოახდინეს და შარშანდელი მეოთხე ადგილის შემდეგ ერთი ნაბიჯით წინ წაწევითაც არ უნდა იყვნენ უკმაყოფილოები. ბარ-მენები კი გუნდის ექვსწლიან ისტორიაში პირველად აფრინდნენ მეორე საფეხურამდე, ოღონდ ხინჯად ის მაინც გაჰყვათ, რომ ერთი დიდი პრიზის მოგებაც ვერ შეძლეს, თუმც ჯენსონ ბატონის ათი პოდიუმი ცოტას როდი ნიშნავს.

თავის ქალაქში რბოლას გამორჩეულად ელოდა რუბენს ბარიკელო. მას ორი საფორმულო ოცნება აქვს — მშობლიური ეტაპის მოგება და მსოფლიოს ჩემპიონობა. რუბინიოს ორივე ოცნება ისევ ოცნებად დარჩა, სან პაულუში მეთორმეტედ გაჯირითებაშიც ხელი მოეცარა და მხოლოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ასე რომ, ორივე საგაისოდ თუ აუსრულდება.

არადა, ბარიკელო არც ისე შორს იდგა მიზანთან, შაბათს საკვალიფიკაციო წრე უნაკლოდ და უსწრაფესად გაიქროლა, 198-ეტაპიან კარიერაში მეცამეტედ. მეორე დრო მის თანასამხრეთამერიკელ ხუან-პაბლო მონტოიას ჰქონდა. მიხაელ შუმახერს მოსახვევებში ორი შეცდომა ძვირად დაუჯდა, მხოლოდ მერვე შედეგი აჩვენა. მაგრამ ესეც არ ეყო, ვარჯიშზე ისე დალეწა ბედაური, შესაცვლელი გაუხდა, რის გამოც ათი სასტარტო პოზიციით დააქვეითეს.

საშუალო სიგრძიანი (4,309 კმ) და საშუალოდ ჩქაროსნული „ინტერლაგუში" მძიმე ტრეკად ითვლება. აღმართ-დაღმართთან ტრასაზე პილოტებს დამატებით სირთულეებს უქმნის საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა. თუმც ამით რბოლა უფრო საინტერესოც ხდება.

რბოლა უჩვეულო გამოდგა თუნდაც იმიტომ, რომ მასში თითქოს არც მონაწილეობდა მიხაელ შუმახერი. ქარავნის კუდში ჩაკარგულ ჩემპიონს მოგების შანსი არ ჰქონია, თუმც მეშვიდე ადგილი მაინც არ ჩაეთვლება ურიგო შედეგად.

საერთოდ, ეს არ იყო „ფერარის" დღე, მიუხედავად იმისა, რომ „სკუდერიის" მეორე მძღოლმა ბარიკელომ სტარტზე შეინარჩუნა პირველობა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წრით. პიტ-სტოპების პირველივე სერიის შემდეგ რუბინიო ერთბაშად მეექვსე ადგილზე ჩამოვარდა და საბოლოოდ რბოლა მესამემ რომ დაასრულა, ამაზეც მადლობელი დარჩა.

პიტ-სტოპების პირველი სერიის შემდეგ ლიდერობა დროებით ხელთ იგდო რენოელმა ფერნანდო ალონსომ, რაკიღა მან გვიან გადაწყვიტა ბოქსებში შესვლა. ახალგაზრდა ესპანელი „ფეხს ითრევდა", ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დრო და მანძილი მოეგო მდევრებისთვის, მაგრამ მე-18 წრეზე მასაც მოუხდა საბურავების შესაცვლელად და ავზის შესავსებად გზიდან გადახვევა და ტრასაზე მეექვსე დაბრუნდა.

ლიდერობა კი უილიამსელმა მონტოიამ ხელთ იგდო და წინ აღარავინ გაუტარებია. მოგეხსენებათ, კოლუმბიელი მრბოლისთვის ეს უკანასკნელი სეზონი იყო „უილიამსის" საჯინიბოში და თავისთავად გაიხარა, უილიამსური ოთხწლეული დიდი პრიზის მოგებით რომ დაასრულა. მით უმეტეს, მას წელიწადზე მეტხანს არსად ემარჯვა.

მონტოია გაისად „მაკლარენში" ჩაჯდება და კიმი რაიკონენთან ერთად ეცდება ამ სახელოვან საჯინიბოს ჩემპიონობა დაუბრუნოს. მაგრამ სანამ საბოლოოდ გადაჯდებოდეს ახალ მანქანაში, კოლუმბიელს ლამის საშარო ამბავი შეემთხვა მომავალ თანაგუნდელთან. ორივენი ერთად გამოვიდნენ ბოქსებიდან და რაკი არც ერთს სურდა დათმობა, ხოლო ტრასაზე გამომავალი გზა ერთობ ვიწრო იყო ორი ბოლიდისთვის, ლამის ავარია მოხდა. საბოლოოდ, ხუანი უფრო ჯიუტი გამოდგა, კიმის კი რბოლაში მეორე ადგილი და საპოდიუმესანუგეშო შამპანური შეხვდა.

„ეს ფანტასტიკურია — ხარობდა მონტი ნაპოდიუმევს — „უილიამსში" ოთხი კარგი წელი გავატარე და მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ფრენკ უილიამსს".

სეზონის გამარჯვებით დასრულებამ, ცხადია, სერ ფრენკიც გაახარა, მაგრამ „უილიამსის" მეპატრონეს ალბათ საფიქრალიც არ ასვენებს. მას ხომ არა მხოლოდ მონტოიას შემცვლელის პოვნა მოუწევს, არამედ, მეორე მრბოლის, „ტოიოტაში" გადაბარგებული რალფ შემახერის ვაკანსიაც უნდა შეავსოს.



ხუან-პაბლო მონტოიას და რუბენს ბარიკელოს სამხრეთამერიკული პოდიუმი

REUTERS



გუშინ „ინტერლაგუშზე" მონტოიამ კარიერაში მეოთხედ გაიმარჯვა

REUTERS

## რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
**24 ოქტომბერი. სან პაულუ**
დისტანცია 71 წრე — 305,909 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | მონტოია (უილიამსი) | 1:28.01,451 (208,5 კმ/სთ) |
| 2. | (3) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 01,022 |
| 3. | (1) | ბარიკელო (ფერარი) | 24,099 |
| 4. | (8) | ალონსო (რენო) | 48,908 |
| 5. | (7) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 49,740 |
| 6. | (6) | სატო (B.A.R) | 50,248 |
| 7. | (18) | მ.შუმახერი (ფერარი) | 50,626 |
| 8. | (4) | მასა (ზაუბერი) | 1.02,310 |
| 9. | (10) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1.03,842 |
| 10. | (13) | ვილნევი (რენო) | 1 წრით |
| 11. | (12) | კულპარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 12. | (9) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 13. | (14) | ზონტა (ტოიოტა) | 1 წრით |
| 14. | (15) | კლიენი (იაგუარი) | 2 წრით |
| 15. | (17) | გლოკი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 16. | (19) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 4 წრით |
| 17. | (20) | ბრუნი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (11) | ვებერი (იაგუარი) | გაიარა 23 წრე |
| (16) | პაიდფელდი (ჯორდანი) | 15 |
| (5) | ბატონი (B.A.R) | 3 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ბარიკელო — 1.10,646 (219,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მონტოია — 1.11,473 (217,0 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | 8 | – | 10 | 2 | 148 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | 8 | 6 | 10 | 10 | – | 6 | 114 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | 4 | – | 6 | 8 | 6 | – | 85 |
| 4 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | 6 | – | – | 5 | 4 | 5 | 59 |
| 5 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | 5 | – | 4 | 4 | 2 | 10 | 58 |
| 6 ტრული რენო, ტოიოტა, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | – | – | – | – | – | – | 46 |
| 7 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | – | 10 | – | 6 | 3 | 8 | 45 |
| 8 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | 3 | – | 5 | 3 | 5 | 3 | 34 |
| 9 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 5 | – | 2 | 2 | 3 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 8 | 4 | 24 |
| 10 კულპარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | – | 2 | 3 | – | – | – | 24 |
| ფიზიკელა — 22, მასა — 12, ვებერი — 7, პანი, პიცონია (უილიამსი) — 6, და მატა (ტოიოტა), კლიენი, პაიდფელდი, — 3, გლოკი — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 10 | 18 | 14 | 18 | 10 | 10 | 8 | 262 |
| 2 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | – | 11 | 11 | 11 | 3 | 119 |
| 3 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | 6 | 6 | – | – | 5 | 4 | 5 | 105 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 6 | 7 | – | 6 | 4 | 10 | 14 | 88 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | 5 | – | 12 | 3 | 6 | 3 | 8 | 69 |
| ზაუბერი — 34, იაგუარი — 10, ტოიოტა — 9, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩუქარი

ბრაზილიის მთავრობამ სამშობლოში დაუპატიჟა პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელმაც მანამდე ბრაზილიელებს მეხუთედ მოაპოვებინა მსოფლიოს თასი. „დიდმა ფილმა“ ქვეყნის პრეზიდენტ ლუის ინასიუ ლულა და სილვას სიმბოლური საჩუქარი მიართვა: თანამემამულე დეკოს მაისურა. დეკომ პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო და იქაურ ნაკრებში თამაშობს.




REUTERS ბრაზილიიდან




REUTERS ტაივანიდან

# მაიკლი წუთნახევრით

მაიკლ ჯორდანი ტაივანზე: ათასობით ფანი და შოუ, რომელიც ჯორდანის სპონსორ „ნაიკს“ 30 ათას დოლარიან ჯარიმად უღირს. მისი უპაეროვნესობა მთელი საათს უნდა ყოფილიყო საკალათბურთო შოუში, წუთნახევრით კი გამოჩნდა.






REUTERS სან პაულოდან




# სენას ხსოვნისა

სან პაულუში საფორმულე უქმეებია: ბრაზილიის დიდი პრიზი გათამაშდა. ეს სევდიანი გამოფენაც ფორმულის ვარსკვლავს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ აირტონ სენას გაგვახსენებს. მისი საფორმულე ნივთების, სამოსის და ხელსაწყოების გამოფენა სან პაულუში იანვრამდე გასტანს. სენა 1994 წლის 1 მაისს სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებისას დაიღუპა.




REUTERS სან პაულოდან




REUTERS მადრიდიდან

# რის ბიჭები

ჩოგბურთს აბა, ვინღა უყურებდა. მადრიდის საჩოგბურთო ტურნირზე ორგანიზატორებმა ტრადიციული, ბურთის მომწოდებელი ბიჭები სამოდელო სააგენტოს გოგონებით შეცვალეს. აბა, თვალის ტკობობა იქ იყო...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge